საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

შაბათი, 21 თებერვალი. 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

ხელისმოწერის ფასი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომერი ყველგან 3 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 15×2 სტრიქონი პეტიტ. 100 მანეთი. ნისიად განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: გრიბოედოვის ქ. 4, მუხრანსკის რუსთაველის ქუჩის მე-18-თან.

№ 41 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 41

დამწუხრებული დედა ფაცია და ბიძია ივანე ქიქვაძენი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ, რომ შაბათს 21 თებერვალს გადახდილი იქნება ორმოცის თავის პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის ხონის ქალთა გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფის

თინასი

პანაშვიდი გადახდილი იქნება ქ. ტფილისში ქაშვეთის ეკლესიაში დილის 12 საათზე. (618 1—1)

ჯუნჯუათის ს. დ. მ. პარტიის იაჩეიკა აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ, რომ დღეს, შაბათს, 21 თებერვალს გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილ მე-7 კლ. გიმნაზიელის

ვალოდია ზოსიმეს ძე ჯორჯენაძის

სულის მოსახსენებლად ს. ჯუნჯუათში (გურია) მთავარ მაცხოვრის ეკლესიაში. (608 1—1)

ნინო ქუთათელაძისა, გრიშა და მიშა ქუთათელაძენი, მარია და ვალოდია სიამაშვილი, ანნა და საშა ჩხეიძე, ნინა და ხვარამზე ქორქოლიანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 14 თებერვალს ტრაგიკულად და უდროოდ დაიღუპა პირველთა სიძე, ხოლო მეორეთა ქვისლი ავიატორი

პავლუშა გრიგორაშვილი

ცხედარს გამოასვენებენ ქაშვეთის ეკლესიიდან კვირას, 22 თებერვალს, დილის 12 საათზე დაკრძალვა იმავე დღეს ბარბარეს ეკლესიის გალავანში (ნავთლუღში). (625 1—1)

საავიაციო რაზმი აუწყებს ამხანაგებს, რომ დაუვიწყარი ამხანაგის სამხედრო მფრინავის კაპიტან

პავლე ათანასეს ძე გრიგორაშვილის

დასაფლავება მოხდება კვირას, 22 თებერვალს წესის აგება ქაშვეთის ეკლესიაში. გამოსვენება ეკლესიიდან დილის 12 საათზე. დაკრძალვა წმ. ბარბარეს სასაფლაოზე

ღრმად დამწუხრებული მეუღლე მელანო შვილით, მშობლები: გაიოზ და მურზაყან ებრალიძე, ძმები: ვასო და დათიკო, სიძე ესტატე ქუტიხე, დები ვასილა, ზუდკო და ბულურა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 22 თებერვალს ახ. სტ. გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

კოლია მურზაყანის ძე ებრალიძის

სულის მოსახსენებლად ქ. ლანჩხუთში წმ. გიორგის ეკლესიაში. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 ს. (606 1—1)

ღრმად დამწუხრებული: დედა სამა მიხეილის ასული ხუნდაძისა შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, რომ შაბათს 21 თებერვალს გადახდილი იქნება ორმოცის დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ დაკარგულის პატარა

თამრიკოს

სულის მოსახსენებლად კალოუბნის ეკლესიაში დილის 11 საათზე. (611 1—1)

რძალი თედოსია პეტრეს ასული, ძმის შვილები: ლიზა ალექსანდრეს ასული, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, ლევან, ბოცო ლევანის ძენი, თამაზ ლევანის ძე მეუღლით ქსენია კონსტანტინეს ასულით და ნინო ლევანის ასული ჯაყელები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ ძვირფასი მაზლის და ბიძის

გრიგოლ თახოს ძე ჯაყელის

გარდაცვალების მე 40 დღეს შაბათს 21 თებერვალს დილის 10 ს. ქ. ოზურგეთში ექიმის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი (617 -1—1)

გულდამწვარი მეუღლე კოსტა, სიდედრი თეოფილე, დები: რებეკა, ნინო. ძმები: სამსონ და შიო, ბიძა მარკოზ, ბიცოლა ივლიტე, ბიძაშვილები: ანთიმოზ, ბიცოლა ვარვარიკო შვილებით ამით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობთ

ელისაბედ იოსების ასულის თევზაძის

გარდაცვალებას, რომელიც მოხდა 19 თებერვალს გათენებისას. დაკრძალვა დანიშნულია შაბათს, 21 თებერვალს (ახ. სტ.) ნაშუადღევის 2 საათზე, მიცვალებულს გამოასვენებენ ნაძალადევის უბნიდან (დიმიტრიევის ქუჩა № 18) დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდები დილას და საღამოს 5 საათზე. წერილობით არავის გაეგზავნება. (620 1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ქუთაისის გიმნაზიის მოწაფენი ამით აუწყებენ—მეგობრებს და ნაცნობებს რომ მოკლე ხნის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ჩვენთვის დაუვიწყარი საყვარელი ამხანაგი მეშვიდე კლასის მოწაფე

აკაკი ივანეს ძე რევიშვილი

რომლის დაკრძალვა მოხდება კვირას, 22 თებერვალს ნაშუადღევს სამტრედიაში წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში. (ფ 1—1)

გულ დათუთქულნი: მამა ივანე, ძმები: ისიდორე და ვარლამი, დები: სონია, ბაბილინა, თეოფანია, ლიზა და თამარი, რძალი აგრაფინა, სიძეები: გრიგოლ ნიკურაძე, ავქსენტი მიქაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის ძვირფასი მე-7 კლასის გიმნაზიის მოწაფის

აკაკი ივანეს ძე რევიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას, დაკრძალვა დანიშნულია კვირას 22 თებერვალს ქ. სამტრედიაში წმინდა გიორგის ეკლესიის გალავანში.

ტფილისის საერთო განათლების კურსების მასწავლებელნი ღრმის მწუხარებით გამოთქვამენ მეექვსე კლასის მოწაფის ძვირფასი ამხანაგის

პეტრე პორფიას ძე დუმბაძის

უდროოდ გარდაცვალების გამო. (619 1—1)

გულდამწვარი ამხანაგები: ელიკო დამბაშიძე, თამარა გვეტაძე, ანიჩკა ხარატიშვილი, ჩუთა თოხაძე, ფიმა ბლიაძე, ნინო ხარაძე, თამარა დევაძე ოლია აფციაური და სონია ტიტვინიძე აუწყებენ ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ორმოცი დღის პანაშვიდი მათი ძვირფასი და მუდამ დაუვიწყარი მეგობრის

თინიკო ქუთათელაძის

სულის მოსახსენებლად დანიშნულია ქ. ტფილისში ქაშვეთის ეკლესიაში დღეს 21 თებერვალს დილის 12 საათზე. (628 1—1)

დამწუხრებულნი შვილები: ვასილი, ოლიმპიადა, ეკატერინე, ქეთო, თამარა, დათიკო და აკაკი კანდელაკები, დედა მართა ახვლედიანისა, დები: მინიკა, მაშიკო, სარა და ელენე, ძმები: სამსონი, პოლიკარპე და გიორგი ახვლედიანები, დედამთილი დე პანე, მაზლი პეტრე კანდელაკი, მულები: ნინუცა, ივლიტა, ბარბალე სონია, და იულია, აუწყებენ ნაცნობთ მეგობართ, რომ კვირას 22 თებერვალს გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი უდროოდ გარდაცვლილის

იუდითი ალექსის ასულის კანდელაკის

სულის მოსახსენებლად თბილისში ქაშვეთის ეკლესიაში დილის 9 საათზე, და ქუთაისში მთავარ ანგელოზის ეკლესიაში დილის 12 საათზე (627--1—1)

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე სოლომონ შვილებით გიორგი და ალექსანდრე ლოლიძენი და და ფუფა ხიზანიშვილისა, და რძალი ქატო ლოლიძისა ვაუწყებთ ნათესავთ და ნაცნობთ უდროოდ გარდაცვალებას

სონა ჯიბუტისას

ცხედარს წაასვენებენ სადგურ ... სოფელ ამაღლებაში. დაკრძალვა მოხდება კვირას 22 თებერვალს. (630—1—1)

სამტრედიის ქალაქის გამგეობა

იწვევს ბეითალ ექიმს ჯამაგირი 5460 მან. მსურველმა უნდა მიმართოს სამტრედიის ქალაქის გამგეობას.

(625—2—1)

მუშათა მაგიდა

შრომის მინისტრი წინადადებას აძლევს ყველას, ვისაც ნებით თუ უნებლიეთ მიღებული აქვთ კუთვნილზე ზედმეტი სახელმწიფო მომარაგების ფონდის სასურსათო ბარათები

დააბრუნონ ეს ბარათები 25 თებერვლამდე

ვინც აღნიშნულ რიცხვამდე ბარათებს არ დააბრუნებს, მათ სრულიად ჩამოერთმევათ უფლება მომარაგების ფონდიდან პროდუქტების მიღებისა, პასუხისგებაში იქნებიან მიცემულნი და მათი სახელი და გვარი გამოქვეყნდება.

მომარაგების რწმუნებული. (ნ. 4—1)

სამტრედიის მომხმარებელი კოოპერატივი „დახმარების“ გამგეობა იწვევს წევრთა წლიურ

საერთო კრებას

22 თებერვალს 1920 წელს და თუ კანონიერი რიცხვი წევრებისა არ გამოცხადდენ გადაიდება 29 თებერვლისათვის დილის 10 საათიდან ქალაქის საკრებულო დარბაზში.

დღის წეს რიგი:

1) მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.
2) საანგარიშო (1919) წლის ანგარიშის განხილვა, დამტკიცება და მოგების განაწილება.
3) 1920 წლის ხარჯთ აღრიცხვის განხილვა და დამტკიცება.
4) წევრთაგან პაის შეტანა და საწევრო გადასახადის გადიდება.
5) მიმდინარე კითხვები.
6) არჩევნები გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა.

გამგეობა. (537—3—3)

კვირას, 22 თებერვალს, დილის 10 საათზე

სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობა იწვევს ამავე უნივერსიტეტის

სტუდენტთა საერთო კრებას

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) კავშირის გამგეობის მოქმედების წლიური ანგარიში.
2) სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3) მიმდინარე საკითხები.
4) კავშირის გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

(611—7—2)

შრომის სამინისტროს მუშათა მაგიდა

აცნობებს ყველა მუშებს და მოსამსახურეებს, რომელთაც მიიღეს

სასურსათო წიგნაკები სახელმწიფო ფონდიდან

(სურსათის მისაღებათ, მათ უნდა მიეწერონ ერთ-ერთ განაწილებელ საზოგადოებას ქალაქის სასურსათო განყოფილებისა, კოოპერატივ „[illegible]“, ან ცეკავშირის ეკონომიურ საზოგადოებისა, ქალაქის მოსამსახურეთა ეკონომიურ საზოგადოებისა ან უნდა შეერთდნენ ჯგუფ ჯგუფად სანოვაგის პირდაპირ ცენტრალური საწყობიდან მისაღებად. ფორმის ჩასაწერი ბლანკებისა მოითხოვეთ შრომის სამინისტროში.

(ნ. 3—2) მუშათა მაგიდის რწმუნებული.

ტფილისის სადარაჯო ათასეული

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს 23 თებერვალს ათასეულის ბინაზე (ანტონოვის ქუჩა) შუადღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

დაწუნებულ 3 ცხენზე. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე ათასეულის სამმართველოს ნაწილში.

(615—2—1)

სპეციალური სახელოსნო

სადაც ვახდით ძველ კალოშებს. ვაძლევთ გამძლეობის გარანტიას. ვაკრავთ ფეხსაცმელების ტყავის საძირეს, რეზინის საძირეს, რაც იცავს ფეხსაცმელს ნოტიოსა და უდროო დაფუჭებისაგან. ფასები: მამაკაცის ფეხსაცმელის—100 მანეთიდან ქალისა კი—50 მან. დაკვეთას ვასრულებთ 24 საათში. მისამართი პლეხანოვის პრ. (მიხეილის პრ. № 129.

მაღაზია „რეზინის საქმე“

(629—2—1)

ექიმი ბ. ი. ოქროპირიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. რტიშჩევის ქუჩა № 22, სოლოლაკი.

(ნ.—თ.).

კოლექტიური ხელშეკრულება და მოხელეები

მას შემდეგ, რაც მონური და ბატონყმური ურთიერთობა მოისპო, შრომის სფეროში ფართო ადგილი დაიჭირა თავისუფალ დაქირავების პრინციპმა, რომელიც ბურჟუაზიულმა იდეოლოგიამ ერთგვარი შარავანდედით შემოსა.

ცხოვრებამ კი ნათელჰყო, რომ თავისუფალ დაქირავების პრინციპი გადაიქცა თავისუფალ და უსაზღვრო ექსპლოატაციის წყაროთ. მუშათა კლასმა მკაცრი ბრძოლა აუტეხა ბურჟუაზიის ამ „წმიდათა წმიდას“ და მოითხოვა დაქირავების საქმეში სახელმწიფო აპარატის ჩარევა.

სწორედ ამ ჩარევის შედეგია მუშათა კანონმდებლობა, რომელიც ასე თუ ისე ყველა სახელმწიფოში აწესრიგებს ურთიერთობას შრომისა და კაპიტალს შორის.

ამ ურთიერთობის მოწესრიგებას ემსახურება აგრეთვე წოდებული კოლექტიური ხელშეკრულობა, რომლის ძალით მუშები სათითაოდ კი არ გამოდიან დამქირავებლების წინააღმდეგ, არამედ შეერთებულად, კოლექტიურად. ეს კი საზღვარს უდებს მწარმოებლის თავგაშვებულ მადას და ჟინიანობას.

მაგრამ მწარმოებლის და ალებ-მიცემის როლში სახელმწიფოც გამოდის. მას აქვს რკინის გზები, მაღაროები, ფერმები, სავაჭროები. როგორც კერძო მწარმოებლებთან, აქაც მუშები ქმნიან ერთ გვარ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც, მართალია, კერძო კაპიტალისტის ჯიბის ნაცვლად, ხაზინაში შედის და ისევ ხალხს ხმარდება, მაგრამ არსებითად ის მაინც ზედმეტ ღირებულებათ რჩება.

მწარმოებლების და ვაჭრების როლში გამოდიან აგრეთვე ადგილობრივი თვითმართველობანი—ერობების და ქალაქების სახით და ცხოვრების მსვლელობა ისეთია, რომ საზოგადოებრივი წარმოება თან და თან იკიდებს ფეხს და ფართოვდება.

თავისთავად ცხადია, რომ კოლექტიური ხელშეკრულობა ამ დარგის მუშებზედაც უნდა გავრცელდეს. თუ უფრო მეტისად არა, თანასწორად მაინც უნდა იქნას მუშა უზრუნველყოფილი სახელმწიფო და საზოგადოებრივ წარმოებაში და კოლექტიური ხელშეკრულობა და სხვა დამცველი ზომები ერთგვარად უნდა გავრცელდეს როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივ წარმოების მუშებზე.

მაგრამ სახელმწიფო, ასე ვთქვათ, სხვათა შორის მისდევს წარმოებას და ალებ მიცემობას. მისი უმთავრესი დანიშნულება კი ქვეყნის მართვა-გამგეობაა ან, როგორც იურისტები ამბობენ, სახელმწიფო საჯარო უფლებების წარმომადგენლობა.

საქართველოში დამყარებულ წყობილების მიხედვით მართვა-გამგეობის ფუნქციები დაკისრებული აქვს აგრეთვე ერობებს და ქალაქებს. ესენი არიან ცენტრალური მთავრობის ადგილობრივი ორგანოები ნაცვლად წინეთ არსებულ საგუბერნიო და სამაზრო მმართველობისა.

ამნაირად, ადგილობრივ თვითმართველობისა და მთავრობას შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ პირველი წარმოადგენს დაქვემდებარებულ ორგანიზაციას, ხოლო მეორე მაღლა მდგომ ძალას. და როგორც ვიცით, თვითონ წყაროც ერთია მათი უფლება მოსილობის: როგორც თვითმართველობის ორგანოები, ისე ცენტრალური მთავრობა არჩეულია ხალხის მიერ საყოველთაო ხმის მიცემით.

მაშასადამე, ადგილობრივი თვითმართველობაც საჯარო უფლება-მოვალეობის მატარებელია.

როგორც ცენტრალური მთავრობა, ისე ადგილობრივი თვითმართველობა თავის სახელმწიფოებრივ მოვალეობებს ახორციელებს მოხელეების ან მოსამსახურეების შემწეობით. და სულ ერთი როდია, თუ როგორი ურთი-ერთობა იქნება ამ მოხელეთა და მათ უფროსებს შორის.

ადვილად შეიძლება მოხდეს, რომ მატერიალურად ეს მოხელენი უფრო ცუდ პირობებში იყვნენ, ვინემ წარმოების მუშა-მოსამსახურენი. ამ მხრით მოხელეებსა და წარმოების მუშა-მოსამსახურეებს შორის შეიძლება არ იქნეს განსხვავება.

მაგრამ ჩვენ ყურადღება უნდა მივაქციოთ მოხელეთა მოღვაწეობის მეორე მხარეს: არ უნდა დავივიწყოთ, რომ ისინი ასრულებენ მართვა-გამგეობის საქმეებს და ამიტომ შეუძლებელია ამათი ერთ კალაპოტში მოქცევა მუშებთან. აქ პირველი ადგილი სახელმწიფოს ინტერესებს უნდა მივაკუთვნოთ და ჩვენი სახელმწიფო ხომ იგივე დემოკრატია, იგივე ხალხია.

ფიქრობენ, რომ მოხელეების გამორიცხვა კოლექტიურ ხელშეკრულობის გავლენისაგან მოასწავებს მათ უმწეო მდგომარეობაში დატოვებას.

ეს სიმართლე არ არის. მართალია, დღეს ხშირია მოხელის დაჩაგვრა უფროსის მხრით, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ არც ის, რომ მოხელეების დიქტატურაც ფაქტია ხოლმე და ამ ნიადაგზე ატეხილ ბრძოლის დროს ბუნებრივია გადამეტება როგორც ერთის, ისე მეორე მხრით.

ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია უფროსის მიერ, თუნდაც ის მინისტრი იყოს, ხელქვეითის დამცირება და დაჩაგვრა, მაგრამ კიდევ უფრო დაუშვებელია ისეთი მდგომარეობის შექმნა, როცა უწყების პასუხისმგებელ წარმომადგენელს საშუალება არ ექნება გამოუსადეგარი და ურჩი მოხელე შესაფერ კალაპოტში ჩააყენოს.

ძველმა წყობილებამ დაგვანდერძა „წესდება სამსახურის შესახებ“, რომელშიც საერთოდ სწორი პრინციპებია გატარებული. საჭიროა ამ წესდების შეკეთება, შესაძლებელია ახალის შემუშავება და ამ გზით მოწესრიგება საკითხისა.

მაგრამ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია ერთი რამ: როგორ შეიძლება მოხელეების და წარმოების მუშა-მოსამსახურეების ერთგვარ კოლექტიურ ხელშეკრულობაში მოქცევა.

სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ეს მეტად მავნებელი იქნებოდა, მუშათა კლასის იდეოლოგიით—სრულებით მიუღებელი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ბათუმელი შთაბეჭდილებები.

სოხუმის „ნაშე სლოვო“-ში გრ. ბიოლი „ბათუმის შთაბეჭდილებებში“, სხვათა შორის, შემდეგსა სწერს:

„ტფილისიდან ხაძევებული სპეკულიანტები და სხვანი ბათუმში იმყოფე-

დღეს

გერმანიას უფლება მიეცა იარაღს ქვეშ იყოლიოს 200 ათასი ჯარისკაცი.

იმედი აქვთ, რომ ამერიკის სენატი ხელახლა განხილვის შემდეგ საზავო ხელშეკრულებას დაამტკიცებს.

გერმანიის ჯარი კატეგორიულათ უარს აცხადებს დამნაშავე პირთა გაცემაზე.

ადესის ლტოლვილებით წასული გემი ბოსფორთან სდგას.

მოსკოვის მუშათა საბჭოში არჩეულ იქნა 194 კომუნისტი, 7 თანამგრძნობი, 10 უპარტიო და 2 მენშევიკი.

ბოლშევიკების ცნობით ნოვოჩერკასკის და როსტოვის რაიონში საბჭოთა ჯარი შეტევით ომს აწარმოებს. ველიკოკნიაჟესკაიას მიმართულებით საბჭოთა ჯარმა სად. ტორგოვაია აიღო.

იან. ისინი ზიზღით არიან აღვსილნი საქართველოსადმი და დღე-დღეზე მოელიან, როცა დაწყებულიდ ქართველებს მოსთელავენ. მათთვის სულ ერთია ვინც უნდა დაიპყროს საქართველო — დენიკინი იქნება, ის თუ ბოლშევიკები.

ოღონდ კი ვინმემ დაიპყროს საქართველო და ჩვენც მას შევეგებებით, — ასე მსჯელობს ის ხალხი.

საქართველოსადმი სიძულვილმა ეს ხალხი ინტერნაციონალურად შეათანხმა".

შემდეგ გ. ათიელი ჩამოთვლის, თუ როგორი აწყობდნენ დენიკინელები ბათუმში ახლო წარსულში მებრძოლ რაზმებს და დასძენს:

„ყველაფერი ეს გაქრა. ახლა არა თუ მოხალისეები, რუსული სამხედრო ფორმითაც ქუჩებში შეხვდებით ვისმე. დენიკინელთა გაზეთი „ნაშ კრაი" სულს ღაფავს, ვეღარ უძლებს ყურადღებას საქართველოს და ამ გაზეთის მოუსვენარი რედაქტორი ბ-ონი ფრანჩესკი სახელმწიფო რეგისტრაციას აწარმოებს მხოლოდ ბათუმში შემოსული და გასული გემებისას".

საქართველო და ლიბერალიზმი.

ამ სათაურით „კავკაზია დუმის" ნ. ს. სწერს:

„საქართველოს შემოტევის შესახებ ბრიტანეთის სამხედრო მისიის ოფიციალური წრეები იუწყებიან, რომ სოჭის დაკავება არ არის საქართველოს რეგულიარული ჯარის ნაწილების საქმე, არამედ — ეს ქართველი ყაჩაღების მოძრაობის ან „მწვანე არმიელების" საქმეა.

როგორც ვიცით, სოჭის ინგლისელების საქმეში ჩარევით საქართველოს ჯარების გარეშე დარჩა.

ამჟამად საქართველო ოფიციალურად დაიკავებდა სოჭს, ეს გამოიწვევდა მოკავშირე სახელმწიფოების არა-კეთილ დამოკიდებულებას მისდამი, რომელთაც აღიარეს საქართველოს მთავრობის დამოუკიდებლობა (და არა საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა).

საქართველო უნდა ატარებდეს ინგლისის ამგვარ კეთილგანწყობილებას მისდამი, ამიტომ მან ანგარიში უნდა გაუწიოს როგორც მოხალისეთა ჯარს, აგრეთვე ანტანტას".

შემდეგ წერილში გაზეთი გვეუბნება „საქართველოსთან ომს" და, სხვათა შორის, სწერს: „აზიურ ფენებს ასეთ შემთხვევაში არავითარი მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს. უეჭველია იქნება ამ საგანზე საქართველოსთან დიპლომატიური ნოტების გაცვლა. ჩვენ კარგათ ვიცით, თუ რა როლი შეასრულა აზერბეიჯანმა დაღესტანის აჯანყების საქმეში, თუმცა ის ოფიციალურად არ გამოსულა".

შემდეგ გაზეთი ამტკიცებს, რომ საქართველოს კავშირი აქვს ოსმალეთთან, თურქეთს კი ბოლშევიკებთან, მაგრამ „ამ ფაქტის დამტკიცება, იმისი გამორკვევა, თუ რამდენათ არიან ოსმალები და ქართველები ბოლშევიკების მოკავშირენი, უეჭველად საქმე იქნებოდა და ამ საგანზე გამართული მოლაპარაკება უშედეგოდ დარჩება".

ბოლოს გაზეთი იმედს გამოსთქვამს, რომ დიდბრიტანეთის მოკავშირე სახელმწიფოები არ გაუწევენ უეჭველად დიპლომატიურ მოლაპარაკებას და მიიღებენ გადამწყვეტ ზომებს, რისთვისაც მათ მოეპოვებათ საკმაო ძალა.

ოსმალეთის საკითხი და საქართველო *)

ლონდონის კონფერენციამ გადასწყვიტა კონსტანტინოპოლი ოსმალეთის ბატონობის ქვეშ დატოვოს. რადიო-ტელეგრამმა გადმოგვცა ის ცნობა არ იყოს გულახდილი კომენტარიები, რომელიც ამ გადაწყვეტილებისათვის საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაზეთ „ტანს" უძღვნია. თუ „ტანს" დავუჯერებთ, ინგლისი თავდაპირველად მომხრე ყოფილა ოსმალების ევროპიდან განდევნისა. საფრანგეთი, პირიქით, ამთავითვე უფრო სათუთად მოეპყრობოდა მაჰმადიანების მგრძნობიარობას. ბოლოს ორ მოკავშირეს შორის ერთგვარი შეგუებული შეთანხმება მომხდარა და „ავადმყოფი ადამიანი" ჰუმანიური და მედიკური მოსაზრებებით თავისი სანგრძლივი ავადმყოფობის ადგილის დაუტოვებლივათ ძველს ბიზანტიაში.

ასეთია ოფიციალური კომენტარიები, მაგრამ ასეთია თუ არა საქმის ნამდვილი ვითარება? ამ საკითხის გარკვევაში ყველაზე მეტად ჩვენ ვართ დაინტერესებულნი, იმიტომ რომ ოსმალეთის ბედი ყველაზე ახლოს საქართველოსა და მის მეზობლებს ეხება. შეიძლება, ჩვენს წარსულში არც ერთს ისტორიულ მოვლენას არ უთამაშნია ისეთი დიდი როლი, როგორიც ბიზანტიის დამხობამ ითამაშა. მოსალოდნელია რომ მომავალშიაც საქართველოსთვის ოსმალეთის ბედს უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

მართალია „ტანის" ცნობა, რომ ოსმალეთის საკითხში ანტანტის შეხედულებამ ერთგვარი ევოლუცია განიცადა. მაგრამ რასაკვირველია, აქ არაფერს შუაშია არც ჰუმანიზმი და არც მედიცინა. იმ ოპოზიციების შემდეგ რომელიც გერმანიასა და ავსტრია-უნგრეთს გაუწიეს, ოსმალეთის შებრალებას არავინ მოელოდა, მაგრამ „ავადმყოფი ადამიანი" ნაკლებ ავადმყოფი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ. ოსმალეთის ნაციონალისტებმა გამოიჩინეს წინააღმდეგობის ძალა, რომელსაც მათგან არავინ ელოდა. ანტანტა იძულებული გახდა დათმობის გზას დასდგომოდა. პირველად ეს დათმობა ფორმალურად სომხების ხარჯზე მოხდა. დიდი სომხეთის იდეა განიხილა. ახლა აშკარად დიდი სომხეთის იდეაც იჩრდილება.

მეორე ფაქტორი, რომელიც იმავე მიმართულებით მოქმედებს ბოლშევიზმის ტერიტორიული და იდეური გავრცელებაა. როგორც ნოვოჩერკასკისა და როსტოვის აღებამ საქართველოსა და აზერბეიჯანის ფაქტიური ცნობა დააჩქარა, ისე ნიკოლაევისა და ოდესის აღებამ ანტანტის გული ოსმალეთისადმი „გაალხინა".

იგივე გაზეთი „ტანი" 19 იანვრის მეთაურში ისევე გულახდილად სწერდა: „საუკუნეების განმავლობაში მოსკოვი და ისლამი ერთი მეორის საწინააღმდეგო ფაქტორებს წარმოადგენდენ აზიაში. მონღოლებმა რუსეთის განვითარება შეაჩერეს. რუსებმა ოსმალეთის დეკადენსი დააჩქარა. რუსეთის ვაჭრობამ შეაჩერა პანთურანული პროპაგანდა და აზიელი მუსულმანობის უმრავლესობა ევროპის სახელმწიფოებისკენ წაიყვანა. სამაგიეროდ დამოუკიდებელი ხმელეთის რუსეთის ინდოეთის კარებს აშორებდა, დამოუკიდებელი ოსმალეთი კიდევ ზღვებს შუა ზღუდავს. დღეს ყველაფერი ეს შეიცვალა. დღეს ბოლშევიზმს თავი მოაქვს იმით, რომ ის პანისლამიზმთან ერთად მოქმედებს. ეს კავშირი, რომელიც აუცილებლად უნდა გაწყვეტილ იქნას მომავალ ზავის დროს: ის უფრო ადვილად გაწყდება ისლამის დაკმაყოფილებით, ვიდრე ლენინთან შეთანხმებით".

გაზეთის მეორე მეთაურში იგივე აზრი კიდევ უფრო გარკვევით იყო გამოთქმული: „ოსმალოს არმია უმნიშვნელო რაოდენობას არ წარმოადგენს. ოსმალური ნაციონალიზმი პოლიტიკურ ძალად იქცა. კონსტანტინოპოლი დღეს მთელი დედამიწის მაჰმადიანების გამაერთიანებელი ცენტრია... განა უკეთესი არ იქნება, რომ ეს ოსმალური ნაციონალიზმი მისი არმიით ოსმალეთის ნორმალური ცხოვრების აღსადგენად გამოვიყენოთ? მით უმეტეს, რომ ჩვენ ამ ქვეყნის კრედიტორები ვართ. განა მუსულმანური გრძნობა, რომელიც არსებითად ტრადიციულია, მოკავშირეთ არ გამოგვადგება ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომელიც ყოველი ტრადიციისა და საზოგადოების გრძნობის მტერია?"

ამ ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ ანტანტა იმავე „მომაკვდინებელი ცოდვით" შეპყრობილი, რომელიც ჩვენში რატომღაც მხოლოდ ბოლშევიკების კუთვნილებათ მიაჩნიათ. ევროპელი იმპერიალისტები რუსის კომუნისტებს ეჯიბრებიან ლოზუნგებით ადამიანის გულის მოგებაში. ეს სრულიადაც არ არის გასაკვირალი: როგორც უბიწო რეალისტები ლოიდ ჯორჯი და კერზონი უწინარეს ყოვლისა პოლიტიკურ ფაქტორებს უწევენ ანგარიშს და არა განყენებულ პრინციპებს და მით უმეტეს სიმპატიისა და ანტიპატიის გრძნობებს. ისლამი კი დღეს ძალიან დიდს პოლიტიკურს ფაქტორს წარმოადგენს. ამიტომ არც იდეური და არც ეკონომიური მოსაზრებები ხელს არ უშლიან ევროპიული იმპერიალიზმისა და აზიური ისლამის კოოპერაციას თუ ინტერესთა სფეროებში შეთანხმება მოხდა.

დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, კერზონი, სწორედ ის პიროვნებაა, რომელიც ინგლისს ყველაზე მეტად გამოადგება ახალი პოლიტიკური კურსის ხელმძღვანელობაში. კერზონი ყოველთვის იმ აზრის იყო, რომ ინგლისის მსოფლიო ბატონობას უდიდესი საფრთხე რუსეთის მხრივ მოელის. ჯერ კიდევ ინდოეთში ყოფნის დროს მან შეიმუშავა პროგრამა, რომელსაც უკანასკნელმა დიდმა ომმა თითქოს რეალური საფუძველი მისცა. ამ პროგრამის მიხედვით ოსმალეთს წმინდა არაბული პროვინციები (არაბეთი, მესოპოტამია, სირია) უნდა ჩამოეცალოს და სპარსეთთან ერთად დიდი ბრიტანეთის პროტექტორატს დაექვემდებაროს. ამგვარად შეიქმნება ერთი დიდი მაჰმადიანური იმპერია ქაიროდან დაწყებული კალკუტამდე, რომელიც უფრო ადვილად შეასრულებს რუსეთის წინააღმდეგ ბარიერის როლს, ვიდრე სუსტი დამოუკიდებელი სპარსეთი და ოსმალეთი. როგორც ვხედავთ ეს პროგრამა თითქოს განხორციელებულა იმ გამონაკლისით, რომ სირიაზე თავისი პრეტენზიები განაცხადა საფრანგეთმა, რაც როგორც ცნობილია პარიზის კონფერენციის მიერ დაკმაყოფილებულ იქნა.

მაგრამ ინგლისის იმპერიალისტური მიზნების მიღწევას წინ გადაეღობა ერთი დიდი ფაქტორი, რომელიც ხელმძღვანელ პოლიტიკოსებს შეიძლება წინასწარ არც კი ჰქონდათ სერიოზულად გათვალისწინებული. აღმოჩნდა, რომ ისლამში სოლიდარობის გრძნობა მეტად უფრო ძლიერია, ვიდრე ქრისტიანულს კაცობრიობაში და კერძოდ ოსმალეთის საკითხი მთელს მაჰმადიანობას აღელვებს. არაბულ პროვინციებს უნდათ განთავისუფლება, მაგრამ სრულიადაც არ სურთ არც ინგლის-საფრანგეთის პროტექტორატი, არც ოსმალეთის დამცირება ეგვიპტესა და ავღანისტანის ამბებმა, ინდოელ მაჰმადიანების თანაგრძნობამ შთამაგონებელი და გამამხნევებელი ძალა შთაბერა ოსმალთ ნაციონალისტებს, რომელთა გავლენაც ბოლო დროს უფრო გაიზარდა, ვიდრე ეს მათ რიცხვსა და შეიარაღებულს ძალას შეეფერება.

რა დასკვნა გამომდინარეობს ამ დაბალანსებულ მოვლენათა ქსელიდან ჩვენი საკუთარი პოლიტიკისთვის? ზოგიერთი ჩვენ პოლიტიკურ წრეებში გადაჭარბებული ილუზიებია ანტანტის შესახებ. როგორც ბოლშევიკები ცდილობენ ოსმალები ინგლისის ხარჯზე დააკმაყოფილონ, ისე ინგლისის მთავრობა ეცდება ეს დაკმაყოფილება ყოველთვის რუსეთის ხარჯზე მოხდეს. ეს კი უწინარეს ყოვლისა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დაზარალებას მოასწავებს. ამიტომ დიდი ყურადღება გვმართებს, რომ ზოგიერთ ჩვენს პროვინციას ყარსისა და არზრუმის ბედი არ ეწიოს. სტამბოლელი ინგლისური გაზეთის მოსაზრება (რომელიც ქართულ გაზეთებშიც იყო გადმობეჭდილი), რომ ბათუმის პროვინცია ეთნოგრაფიულად არც რუსეთს ეკუთვნის და არც კავკასიის რესპუბლიკებს, დიდი ნიშანდობლივიც არის და დიდათ დამაფიქრებელიც. რასაკვირველია, ინგლისის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს ისიც კარგად ესმით, რომ ბათუმის პირდაპირ ოსმალეთისთვის გადაცემა საქართველოს ძალაუნებურად საბჭოთა რუსეთის დამხმარეებად გ. ა. ბოლოს სწორედ იმ საფრთხეს გააძლიერებდა, რომლის აცილებისათვის დღეს ოსმალეთის გულის მოგებას ცდილობენ. ამიტომ ამ საკითხის გადაჭრაში ანტანტის მხრივ რთული და არა პირდაპირი პოლიტიკაა მოსალოდნელი. ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, რომ ოსმალეთის შემოტევის ენერგია სამხრეთით იყოს მიმართული და არა ჩრდილოეთით. ამას გარდა ცხადია ისიც, რომ ევროპის იმპერიალისტებს იმედი აქვთ მაჰმადიანური ქვეყნების „კოოპერაცია" არ ესაჭიროებათ, რადგანაც მათი ბაზრისა და ნედლის მასალის ექსპლოატაცია. ეკონომიური ექსპლოატაცია კი აუცილებლად ამ ქვეყნების კულტურულ ჩამორჩენას გულისხმობს. მინიმალური ანგარიშით დღევანდელს ევროპაში არის ზედმეტი ასი მილიონი სული, რომლისთვისაც ევროპამ საკვები გარედან უნდა შემოიტანოს. ეს არის ის მარტივი, ელემენტარული ფაქტი, რომელიც საფუძვლათ უდევს ყოველგვარ იმპერიალისტურ სპეკულაციას, მაგრამ თუ ნილოსის, მესოპოტამიის და ანატოლიის ნაყოფიერი ველები ამ მშიერი არმიის გამოკვებას მოუნდა, წინა აზიელ ერებს კიდევ დიდხანს ხელფეხშეკრული „მონობაში" დარჩენიან.

საქართველოს ინტერესი მოითხოვს, რომ წინა აზია კულტურულად ისევე აყვავდეს, როგორც მეცამეტე საუკუნემდე ყვაოდა. საქართველოს ინტერესი მოითხოვს რომ წინა აზიელ ერებს შორის ძველებური იდეური და კომერციული აღებ-მიცემობა აღდგეს თანასწორობის და ნამდვილ კოოპერაციის ნიადაგზე. ამასვე ითხოვს რუსეთისა და სომხეთ-აზერბეიჯანის ინტერესი.

შ. ქ.

---

*) ამ წერილის ზოგიერთ აზრებს რედაქცია არ იზიარებს, მაგრამ მაინც ბეჭდავს, რადგან წერილში დიდი მნიშვნელოვანი საკითხებია წამოყენებული და თავისებურად გაშუქებული.

რედ.

შავი ზღვის გუბერნიაში

ტუაპსეს აღება.

სოხუმის „ნაშ. სლ." სწერს: შავი ზღვის პირას გუბერნიის გლეხებმა საოცარი გმირობა გამოიჩინეს ტუაპსეს რაიონში ბრძოლის დროს. დენიკინელი ოფიცრების კონტრ-იერიშს გლეხები მამაცურად იგერიებდნენ. ამბობენ, დენიკინის ბრძანებით არას შემთხვევაში არ უნდა დაეტოვებინათ ტუაპსე. დენიკინი ჰპირდებოდა დამხმარე ძალის მიშველებას. ტუაპსეს ბედი მოხალისეთა ჯარისკაცებმა გადასწყვიტეს — მათ უარი სთქვეს გლეხების წინააღმდეგ ბრძოლაზე.

ბრძოლის დაწყებისთანავე მახლობელ სოფლებიდან მოვიდოდნენ შეიარაღებული გლეხები, რომლებიც აჯანყდნენ დენიკინს. დენიკინელებმა უწესრიგოთ დაიხიეს. მათ დაუტოვებიათ აჯანყებულებს.

გენ. დენიკინის დეპეშა.

ეკატერინოდარის „კავკაზია დუმის" მე-18 ნომერში მოთავსებულია გენ. დენიკინის შემდეგი დეპეშა ჯარების უფროსების გენ. ერდელისა და ლუკომსკისადმი;

„16 იანვრის სრულიად უმიზეზოდ რუსების მხრით, ქართველები მწვანე არმიელებთან ერთად შეტევაზე გადმოვიდენ ჩვენს წინააღმდეგ სოჭის მიმართულებით. შეტევა დღემდე გრძელდება, რაც დახმარებაა ბოლშევიკებისათვის, ამიტომ საჭიროა შეწყვეტილ იქნას ყოველგვარი კავშირი საქართველოსთან და გაძევებულ იქნან ყველა მისი ოფიციალური წარმომადგენლები სამხრეთ რუსეთის შეიარაღებულ ძალთა ტერიტორიიდან. შავი ზღვის ფლოტს კი ებრძანოს მიიღოს საქართველოს ნავსადგურებს და დაიწყოს სამხედრო მოქმედება".

ტიხორეცკაია, 20 იანვარი.

დიდი მიწის ძვრა

თბილისში.

20 თებერვალს ღამის 3 საათზე მცხოვრებნი შიშმა მოიცვა.

პირველად ვერ გამოერკვენ, მაგრამ როცა მიწის ძვრამ იმატა თავზარდაცემულთ ვერ მოეფიქრათ როგორ დაიღ-

დავით კლდიაშვილის შემოქმედება

ხელოვნებათ შოთას სიტყვები: ჩვენ კაცთა მოგვეცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა, ყველაზე უფრო თამამათ ჩვენ შეგვიძლია გავიმეოროთ.

ჩვენი საზოგადოება მართლაც უთვალავია ფერით, მეტების სხვადასხვაობით, რაც საუკუნეთა შეგნებამ სხვადასხვაობის თვითონ ჩვენს ხალხში. სვანი, რაჭველი, გურული, მეგრელი, იმერელი, ქართლელი, კახელი, — ყველა ხომ ქართველია, მაგრამ ამავე დროს ყველა მათგანს აქვს რაღაც რამ ხასიათში, რაც მეორეს არ მოეპოვება. იმერელი ოხუნჯობს, მოსწრებული სიტყვის სიცილის, ღიღინის ქვეყანაა. იმერელის მხატვარიც წერილები ამგვარის ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოვებული. ოხუნჯობა, სიცილი, იუმორი მისი ნიჭის თვისებას უნდა შეადგენდეს.

ასეთია დავით კლდიაშვილი, დავით კლდიაშვილის ნაწერებში ყველა ჩვენს აგონდება ის სასაცილო ამბები, რომელთა გარშემოც ტრიალებს შინაარსი მისი სიუჟეტიანი მოთხრობებისა.

თავისი ნიჭის ამ თვისებით ის უახლოვდება ილიასა და აკაკის, მაგრამ მაშინ, როდესაც ილიასი და აკაკის იუმორი ზომიერად გესლიანია, შეუბრალებელი, კლდიაშვილის იუმორი, ნაზია, იმერული. ილიამ კაცია აღმოაჩინა: აქ თქვენ ნახავთ ნამდვილ ოხუნჯობას; მაგალითად ის ადგილები, რომელსაც ლუარსაბი და დარეჯანი ბუზებს სთვლიან ქერზე, ან ბოლოზე და არტახებზე კამათობენ; მაგრამ ხშირად კაცი აღმოაჩენს სატირას. იგივე ითქმის აკაკის სატირულ ლექსებზედაც, სადაც ავტორი ხშირად მეტად გესლიანია, [illegible].

იუმორი სატირის ნაწილია, მაგრამ სიმართლე სატირა დაცინვა, საცინლად აგდება, მაშასადამე პიროვნების გაკიცხვა, დამცირება, თუმცა დაფარული გაკიცხვა და დაცინვა.

დაცინვას, პიროვნების გაკიცხვისა და დამცირებას თქვენ ვერ ნახავთ კლდიაშვილის მოთხრობებში.

ილიას თვალში ჩვენი ცხოვრება წარმოადგენს წუმპეს, რომელშიაც ადამიანების ნაცვლად მხეცები არიან. მთელი თავისი სიცოცხლე ილიამ ამ წუმპეს სწორედ ამ მხეცებზე მიაქვს და ამიტომ მას ნიჭში პირველები ჰყავს აღდგომილი: ლუარსაბი, დარეჯანი. ამგვარივე ტიპებს შეხვდებით აკაკისთანაც. სულ სხვაა კლდიაშვილი.

ხასიათით გაკეთებული, ჩამოქვეითებული მას არც ერთი პიროვნება არა ჰყავს. კლდიაშვილი კი არ დასცინის თავის გმირებს, პირიქით ეცოდება, ებრალება ისინი.

ეცოდება იმიტომ, რომ თვით ცხოვრება აყენებს მათ სასაცილო მდგომარეობაში.

თუ ილია და აკაკი გვიხატავენ სასაცილო პირებს და დასცინიან მათ გესლიანად, კლდიაშვილი გვიხატავს სასაცილო მდგომარეობას და ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილ პირებისადმი სიბრალულს გვიღვიძებს.

რაში გამოიხატება ეს მდგომარეობა და მისი სასაცილო მხარე?

კლდიაშვილი გვიხატავს, გახრწნილი აზნაურიშვილების, შემოდგომის აზნაურიშვილების მდგომარეობას.

ცხოვრებამ მათი აზნაურობა გაადუქმა, მოსპო და გაუთანასწორა ისინი გლეხობას. რას ხედავს ხოლმე, როდესაც თავისი ქმრის ქოხში ჩიტები გაუშვია ყანაში მომუშავეს?

„როგორც იგი თავის თვალით ჰხედავდა, ამ წამში, ამ ხანად მისი ქმარი, სახელოვან ოტია, გვარით ქიმუშაძე, წოდებით აზნაური — ყოფა ნამდვილი გლეხი, მუშა გლეხი, ყოველის მხრით ისეთივე გლეხი, როგორც აი გაღმა ყანაში რომ მუშაობს მათი მეზობელი, მეტრეველი დარეჯამე, სრული მეგვეის მისი, გარდა იმისა, რომ აზნაურიშვილად იწოდებოდა, აზნაურობისთვის ხასიათი ხასიათი ეძლეოდა და თითქმის უფრო ამცირებდა ოტიას ამ გარემოებაში...

გულმოკლული, დაღონებული, გაოგნებული დაბრუნდა სახლში და თვალწინ მოუშორებლივ უდგა მისი ქმარი — გლეხი, ყაზახი სახით, გარეგნობით, შეხედულობით, ხასიათით, მოქმედებით და შეძლებითაც... შეძლებითაც".

აი ხაზინელი ტრაგიზმი იმერეთის აზნაურობისა წარსული საუკუნის დამლევს და ამ საუკუნის დასაწყისში.

ცხოვრებამ ისინი მდგომარეობით გაგლეხკაცა. გლეხობისაგან ისინი არაფრით აღარ განირჩევიან.

ამას კიდეც გრძნობენ და კიდეც ჰხედავენ ყველა ეს ქიმუშაძეები და სამანიშვილები.

მაგრამ წოდება შერჩენიათ და ამას ებღაუჭებიან, ამაში ხედავენ ხსნას და სხვა გამოსავალი ვერ უპოვიათ.

ზოგმა გლეხმა მათ წინ გაუსწრო, ისინი უკან მოიტოვა.

ბესარიონ ქიმუშაძე ცდილობს დაამშვიდოს სამწუხარო და უყვირის მას: ყაზახიო, მაგრამ სიმართლე თავზომოწონებით ეუბნება:

— ყაზახი ვარ! მარა შენისთანა შვილისშვილის აზნაურიშვილს კიდევ გჯობივარ!

შემოდგომის აზნაურობა თვითონაც ჰხედავს ამას და ამაშია მისი მდგომარეობის მთელი სიმწვავე.

აზნაური ქიმუშაძე სწორედ იმ მოსაზრებით ანათლინებს შვილს სამღვდელოდ, რომ შემდეგში გლეხები და თავისი დონის ხალხი ნათლულად არ მიაკლდეს.

აზნაური ქიმუშაძისათვის ეს ტრაგედიაა, თავმოყვარეობის შელახვაა, მაგრამ რა ქნას, როდესაც ცხოვრება ანადგურებს ძველ წყობილებას, მასთან ერთად წოდებრივ დაყოფასაც და აგლეხებს ამათ ახალ — მოქალაქეებს.

ასეთია ბედი ყველა აზნაურებისა, რომელთა ერთი წარმომადგენელიც ქიმუშაძეა.

თავისი მდგომარეობით ისინი უკვე გაგლეხკაცებულნი არიან და აზნაურობა მათ ცხოვრებას სრულით სასაცილო ხასიათს აძლევს. ისინი ყველაფერში უნდა გაუთანასწორდნენ გლეხობას, იმიტომ რომ გლეხი სამღვდლო ყველა ქიმუშაძეებს იყიდის, მაგრამ აზნაურული კუდაბზიკობა თან დასდევს ჯერ ამათ. პლატონ სამანიშვილი სხვაგან მიდის და ისეთი ცხენი ინათხოვრა, რომელზედაც შეჯდომა შეუძლებელია.

— ამაზე შეჯდომა შეუძლებელია? უთხრა მეუღლემ.

— აბა ფეხით ვის მივადგე, შე ქალო?

— კი, მარა სულ არ მოგეკლება ამ საცოდავს ზურგი?

— დედ ფეხს მიგყავს, ბატონო, დედ ფეხს მიგყავს! — სირცხვილისათვის მიმყავს თვარა რა!

და სწორედ უკანასკნელი სიტყვები პლატონის არის დამახასიათებელი.

ოტია ქიმუშაძე მაშოს ეხვეწება:

— „რომ გული მოუკლა იმ ოხერ შვილმაც და ზოგიერთ სხვებმაც...

თქვენთვის ეს არაფერი იქნება, ჩემთვის კი ძვირად რაღაც ღირდება, იყოს ისე თქმულებამდე, ყმაწვილ სიტყვად, რომ ვითომც ზოგჯერ ამ ცოლ-ქმრის მეტი მიეცეს მეზობელს ცნობილი სიტყვა ქვეყნის გაზრდილს, თორემ ფულის თხოვნას როგორ გავბედავდი! ისიც კმარა ჩემს თავზე? ქვეყნის გასაგონად იქნება მახლობლად!" აზნაურობა უკვე დაჰკარგეს ცხოვრებაში და ზოგი უთანასწორდება გლეხობას. ნამდვილად კი თავი მაინც აზნაურები უნდა მოაჩვენონ ქვეყანას და აი აქედან ისინი მათი ყველა სასაცილო მდგომარეობა.

სოლომონ მორბელაძე მდგომარეობით უკვე გაგლეხებულია, მაგრამ გლეხურ ოთახს და გურმოს მთელი ქვეყნები ჯორზე გადაუჯდება და სამშვენისით დაფარავს. ის მდგომარეობა, რომელშიაც ის ვარდება მაჩანკლობის წყალობით, როცა არც ერთი მხარე ილაპი ჰყავს მაღლიერი და არც ქალის პატრონი აძლევს არაფერს, არც სიძის მამა და ცქვი მანეთი და ხარისხის ვით უნდა დაკმაყოფილდეს, რასაკვირველია, მეტად სასაცილოა.

თქვენ წარმოიდგინეთ ერთი წამს სოლომონ მორბელაძე, რომელიც გულმოსული მიარბენინებს ხარის ტყავით დაფენილ ჯორს სახლისაკენ და თან ფიქრობს: რა ვქნა, ხვალ ჩემი მოვალე პლატონი რომ მომადგება კარზე: მოგვატყუე, მამატყუეს და ერთი მოტყუებული, ხვალ ან ზეგ კარზე მომადგება კიდეც!

დამეთანხმებით, რომ ეს სურათი მეტად სასაცილოა, თუმცა თვითონ სოლომონი ჩვეულებრივი ადამიანია, თუ გნებავთ, რიგიანიც, მაგრამ თვითონ ცხოვრება აყენებს მას ასეთ სასაცილო მდგომარეობაში.

ასეთი პლატონ სამანიშვილი. რიგიანი, დარბაისელი ზრდილობიანი ადამიანი, მაგრამ მთელი მისი თავგადასავალი სადედინაცვლო ძებნის დროს და საშინელი გაჭირვება იმისთვის, ერთი სასაცილო ამბავია.

პლატონს უნდა თავისი აზნაურული უპირატესობა შეინახოს ჩვენის ცხოვრებაში. წინ ეღობება საშინელი აჩრდილი მამულის გაყოფისა. ის ებრძვის ამ აჩრდილს და სასაცილო მდგომარეობაში ამოჰყოფს თავს.

როგორც დავინახეთ, კლდიაშვილის ნიჭის განსაკუთრებულ თვისებას იუმორი შეადგენს, მაგრამ ეს არის იუმორი იმერული.

ილია არის წარმომადგენელი ქართლის იუმორისა: მძიმე, გულის მომწამლავი, წყლის მოწყვეტი, გამარტოებული, დაუზოგავი, სასტიკი, შეუბრალებელი დაცინვა.

კლდიაშვილის იუმორი კი არის ნაზი, მხიარული, ალერსიანი, ხალისიანი ღიღინი.

ილიას სიცილში გაბოროტებული გული მოჩანს.

კლდიაშვილის სიცილში კი მოალერსე გული.

ილია თავისი დაცინვით გვეუბნება: რა შეგცინება, ღამის გულზე გეცხადება.

კლდიაშვილი კი — რა ვქნა, შემეცინება, რადგანაც ამბავი მეტად სასაცილოა.

როდესაც ილია იცინის, ლუარსაბი რომ მას ჰხედავდეს, იტყოდა: ნეტავი მიწა გასკდებოდეს და თან ჩამიტანდეს, რომ ეს კაცი აღარ დამანახვა და არც მისი სიცილი გამაგონოთ.

კლდიაშვილის გმირები კლდიაშვილის სიცილზე თვითონაც იცინიან და თავის მდგომარეობას დასცინიან.

კლდიაშვილის სიცილი მხიარული გულიანი სიცილია, მაგრამ მასში მაინც ურევია სევდის ხმები. სიცილი ზოგჯერ ცრემლზე მწარეა, ამბობს აკაკი.

სრული ჭეშმარიტებაა. კლდიაშვილის სიცილი არ არის უდარდელი სიცილი, ქეიფიანი სიცილი; მისი სიცილი მდიდარია, მაგრამ ამავე დროს ფიქრიანიც და ეს ფიქრი ხშირად სევდისაკენ მიდის.

და აქედან წარმოსდგება კლდიაშვილის ნიჭის მეორე თვისება: ნაზი სევდა.

სევდას ჩვენს სიტყვა კაზმულ მწერლობაში თავისი ისტორია აქვს და ამ სევდას სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა სარჩული ჰქონდა.

ნ. ბარათაშვილი უფრო მსოფლიო სევდის მატარებელია. მისი სევდა უფრო ფილოსოფიური შინაარსისა არის.

ამაოება და სიმუხთლე ჩვენი ცხოვრებისა, მიუწვდომლობა მარადისობისა — აი მიზეზი ბარათაშვილის სევდისა.

ამავე დროს ეროვნული ჰანგები უსათუოდ ურევია ბარათაშვილის სევდაში.

როდესაც ის იგონებს ძველ დიდებს და სევდიანი ამბობს:

რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დიდათ
ხელიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!..
ჯანი გვავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ გვამოთ ჩვენს საკუთარს
გულს.
რის ქართველობა, რა ქართველობა?
ვითომ რას გვაგებს უცხო ტომობა!

ამ სიტყვებში უსათუოდ არის ეროვნული სევდის ამონაკვნესი.

ის, რაც ბარათაშვილის სევდაში მხოლოდ ფაქიზათ არის, თითქოს შემთხვევითია, შემდეგ და შემდეგ მეტად განვითარდა, გაძლიერდა და გაიზარდა.

წიათ თავი მოსხლოლდნენ შენობები-საგან.

ბევრ ადგილას სახლებში ჭერი ჩამოინგრა, მხოლოდ ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ფიზიკურ ობსერვატორიაში ამ დღეს რემონტის გამო სეისმოგრაფები ქვედა სართულში ყოფილა ჩატანილი და დაწვრილებით ვერ გამოარკვია ობსერვატორიამ, თუ როგორი ან რა მანძილზე მოხდა მიწის ძვრა.

გამორკვეულია მხოლოდ, რომ მიწის ძვრა დაიწყო ღამის 2 საათსა და 55 წუთზე.

მიწის ძვრის სიძლიერის გამო საათი გაჩერდა 3 ს. 1 წუთზე და 16 წამზე.

მიწის ძვრა, ობსერვატორიის ცნობით, ყოფილა დასავლეთიდან აღმოსავლეთით. რყევა ორჯერ მომხდარა. პირველად უფრო სუსტად და შემდეგ უფრო ძლიერად, რომლის დროსაც გაჩერებულა ობსერვატორიის სამოქალაქო საათი. მიწის ძვრის ძალა ყოფილა 6—7 ნიშანი.

სააგენტოს ცნობა.

თფილისი. თებერვლის 20. გორსა და მის ახლო-მახლო სოფლებს თავს დაატყდათ დიდი უბედურება. დღეს, თებერვლის ოცს, დილის სამ საათზე მოხდა ძლიერი მიწის ძვრა.

ქალაქ გორში დანგრეულია მრავალი შენობა. დაზიანებულია რკინის გზის შენობები. განსაკუთრებით დაზარალდა სოფ. ხიდისთავი, სადაც ბევრი სახლია დანგრეული.

ზარალი და ადამიანთა მსხვერპლის რაოდენობა ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის.

თფილისიდან დაუყონებლივ გაემგზავრა შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი პ. ჭეჭინაძე, რკინის გზის უფროსი, სამედიცინო პერსონალი, ინჟინრები და მრავალი მუშა.

მიწის ძვრა ძლიერ საგრძნობელი იყო აგრეთვე თფილისშიაც. დიდი მიწის რყევა დაიწყო დილის სამ საათზე და რამოდენიმეჯერ განმეორდა. (ს. დ. ს.).

გ ო რ შ ი.

ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა გაიგო რა, რომ გორში დიდი მიწის ძვრა მოხდა, დაუყონებლივ გამოიწვია პირდაპირი მავთულით გამგეობის წევრი, რომელიც შემდეგს იტყობინება:

„ქალაქი დიდათ დაზარალდა. თითქმის ყველა შენობები დაინგრა. ქალაქის გამგეობისა და სადგურის შენობები გადარჩა. ხალხი სულ მთლათ ქუჩაშია გამოფენილი. ზარალი მეტათ დიდია. არის მრავალი დაჭრილი და დახოცილი. ზარალისა და დაჭრილ-დახოცილთა რაოდენობა ჯერ გამოურკვეველი არაა. თხოულობენ დახმარებას".

ამის გამო ქალაქთა კავშირმა დაუყონებლივ პირველისავე მატარებლით გაგზავნა გორში სპეციალისტი ინჟინერი და ტექნიკოსები. მათ თან გაჰყვა მთავარი კომიტეტის აღმასრულებელი ბიუროს წევრი. საექიმო სანიტარო დახმარების შესახებ გორი ცალკე ცნობებს მოაწვდის ქალაქთა კავშირს, რის შემდეგ ეს დახმარებაც აღმოჩენილი იქნება.

ჩვენ მიერ გორიდან მიღებული ცნობებით იქ მიწის ძვრის გამო დანგრეულია 70 სახლი; ადამიანთა მსხვერპლი დიდია; ქალაქის ხიდი და სადგური ძლიერ დაზიანებულია. დანგრეულია აგრეთვე უფლისციხის რკინის გზის სადგური. დიდი ზარალია ატენის ხეობაში და მეჯვრისხევში.

ორბელიანების სევდა არის ღრმა ეროვნული, მაგრამ შიგ წოდებრივი ჰანგები ურევია. მათი პოეზია მარტო ქართველი ადამიანის გოდება კი არ არის, არამედ ქართველი თავადიშვილის და დიდკაცის. ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში ბაგრატოვანთა ჩამომავლობის გოდება ისმის. ილიასი და აკაკის სევდა წმინდა ეროვნულია, სამშობლოს თავისუფლების დაკარგვით გამოწვეული. ეროვნულ სევდის აქ უკვე ერთვის საზოგადოებრივი ჰანგები.

ვაჟას სევდაში ჩვენ ვხედავთ როგორც ფილოსოფიურს, ისე ეროვნულ საზოგადოებრივ მოტივებს.

ვროთია, თუნდა ჩვენ გიყვნეთ
და თუნდა მინდვრის თავები.

ჰგოდებს პოეტი.

და როდესაც ის ითვალისწინებს სამშობლოს მდგომარეობას, გულნატკენი დასძენს:

მოვემწყვდით ორ წყალ შუაში,
აღარსად ჩვენთვის ნავია.

საზოგადოებრივ ცხოვრებას რომ შეგვირდება პოეტი, ჰხედავს, რომ

მგლები, აფთარი გამრავლდენ,
ჰხარობს იმათი გვარია.
საწყალი საწყლადვე რჩება და სხვ.

ამგვარად ვაჟას სევდა უფრო რთულია. არაგვისპირელის სევდაში ორი მხარეა — ფილოსოფიური და საზოგადოებრივი ადამიანი მთელი თავისი მისწრაფებით არარაობაა, ცხოვრება უზნეობითა და უსამართლობით სავსე: აი არაგვისპირელის შეხედულება.

აქედან ეძლევა საზრდო იმის სევდას. ნინოშვილისა და კლდიაშვილის სევდა მხოლოდ საზოგადოებრივია.

ადამიანი უბედურია, იმიტომ რომ ცხოვრება არ არის რიგიანად მოწყობილი. საზოგადოებრივ წყობილების გარდაქმნა ესაჭიროება,—აი დედა აზრი ნინოშვილისა და კლდიაშვილის მოთხრობებისა.

— საშველი თუ მაინც მოგვეცემა როდისმე, რომ კაცური ცხოვრება გვეღირსოს! ამბობს სოლომან მორბელაძე და ეს ამავე დროს კლდიაშვილის ამონაკვნესიც არის.

კლდიაშვილი გადაგვიშლის სურათს, სადაც უმთავრესი ფერი გაჭირვებაა.

— ღმერთო, რა დაგიშავეთ ამისთანა? იძახის ეფროსინე ქიმუზაძის გაჭირვებაში და ეს არის ამოკვნესა მრავალი მისი მსგავსისა.

ასეთი ამოკვნესა სევდის ჩრდილში ახვევს კლდიაშვილის შემოქმედებას. გაიხსენეთ ვიქტორის სიტყვები ირინეს ბედნიერებაში.

ვიქტორი (როდამიშვილს). ძმაო, ჯერეთ კიდევ მეცლობაში გვიდგია ფეხი.

და ასეთი მწუხარების, შეუგნებლობის, ცრუმორწმუნოების საუცხოვო ნიმუშები მრავლად არის გაბნეული კლდიაშვილის მოთხრობებში.

ყოველივე ეს სევდის ხმებს ურევს ავტორის სიცილში.

ავტორი გვაძლევს საუცხოვო სურათებს სხვადასხვა პირებისას, რომლებიც თავისთავად [illegible], სასაცილონი არ არიან, მაგრამ ცხოვრება აყენებს მათ მეტათ სასაცილო მდგომარეობაში, ცხოვრება სასტიკათ ანადგურებს მათ და ავტორს ებრალება, ეცოდება თავისი გმირები.

სიბრალული, შეცოდება კი სათავეა ერთგვარი ნაზი სევდისა, რაც ასე ახასიათებს კლდიაშვილის შემოქმედებას.

რას ვხედავთ იმის მოთხრობებში?

ერთის მხრით შეუბრალებლობას სიბნელეს, ცრუმორწმუნეობას;

მეორეს მხრით გაჭირვებას და ამავე დროს კუდაბზიკობას, რომელსაც ჩაბღაუჭებია აზნაურობა და არ უნდა ხელიდან გაუშვას.

ყველა ეს ერთად ასაზრდოებს კლდიაშვილის სევდას.

ერთ თავის ლექსში ვაჟა სხვათა შორის ამბობს: კლდეზე ვარ დაფუძნებული.

კლდიაშვილიც სწორედ კლდეზეა დაფუძნებული და ეს კლდეა სინამდვილე. კლდიაშვილი მთელი თავისი ნიჭით არის დაბჯენილი ნამდვილ ცხოვრებაზე და აქ არის მისი ძალა.

რეალიზმი—აი რა ახასიათებს ავტორს.

ივ. გომართელი.

(დასასრული იქნება)

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

19 თებერვალი

ამერიკული ცნობები.

(ლიონის რადიო-სადგურიდან).

სევასტოპოლის ევაკუაცია.

ამერიკის გამანადგურებელს, ინგლისის სამხედრო გემს, საფრანგეთისა და საბერძნეთის გამანადგურებელთ, რომლებიც სევასტოპოლის ნავთსადგურში იმყოფება არ ძალუძთ მცხოვრებთა ევაკუაციის მოწყობა, რადგანაც ერთის მხრივ, ალბათ, სხვადასხვა მთავრობათაგან სათანადო განკარგულება არ არის გაცემული ამის შესახებ და მეორეს მხრივ არც არის ნავთსადგურები, სადაც შესაძლებელი იყოს ლტოლვილთა თავშეფარება.

დენიკინი და ყაზახობა.

მოხდა შეთანხმება დენიკინსა და ყაზახების უმაღლეს საბჭოს შორის. თერგის ყაზახები სულით და გულით გაუწევენ მას დახმარებას, მაგრამ დონისა და ყუბანის ყაზახები ყველა პირობაზე არ თანხმდებიან,—და ეს გამოიწვია იმან, რომ ყირიმის ნახევარ კუნძული საეჭვო მდგომარეობაში იმყოფება.

ტრამვაის ტარიფი.

თუ გავიდა პლანი ქალაქის კომისიისა, რომელსაც ქალაქის სამოძრაო საშუალებათა ტარიფის კონტროლი აბარია, მაშინ ტრამვაის ფასი მეტად გაძვირდება. კომისია ფიქრობს მეორე ადგილების ფასი 4 სანტიმიდან ათ სანტიმამდის აწიოს და პირველი ადგილების კი 8 დან 14 სანტიმამდის.

ფრანგი და ამერიკელი ოფიცრები.

კობლენცში შეთანხმება მოხდა ამერიკისა და საფრანგეთის საოკუპაციო ჯარებს შორის ოფიცერთა რეგულიარულ გაცვლა - გამოცვლის შესახებ იმ მიზნით, რომ ერთი მეორის სამხედრო მეთოდები შეისწავლონ. ცხრამეტ ამა თვეს რეინის პროვინციაში მყოფ საფრანგეთის ჯარის ნაწილს სამი კვირით შეუერთდება ერთი არტილერიის, ერთი კავალერიის და ერთიც ქვეითა ამერიკული ჯარის ოფიცრები. ამგვარადვე ფრანგი ოფიცრები შეუერთდებიან ამერიკელებს. ოფიცერთა გაცვლა-გამოცვლა ხდება განსაზღვრულ დროში იმ მიზნით, რათა ყველას საშუალება ჰქონდეს სხვა ქვეყნის სამხედრო გამოცდილებით ისარგებლოს. ინგლისის და საფრანგეთის ჯარს შორის ოფიცერთა გაცვლა გამოცვლის შესახებ შეთანხმება ამ მოკლე ხანში მოხდება.

ფრანგული პრესის ცნობები.

გერმანიის ჯარი.

გერმანიას უფლება მიეცა 10 ივლისამდის იარაღ ქვეშ იყოლიოს 200,000 ჯარის კაცი.

პუანკარე და დეშანელი.

პრეზიდენტობის ვადის გათავების გამო მინისტრების, პალატის და სენატის თავმჯდომარეებისა და ბიუროების თანდასწრებით რაიმონდ პუანკარემ ახლად არჩეულ პრეზიდენტ პოლ დეშანელს თავისი უფლება გადასცა. პარიზის მცხოვრებნი ეროვნულ ცხოვრების ამ მანიფესტაციას პატრიოტული სიხარულით შეხვდნენ. ორივე პრეზიდენტი მიიღეს ქალაქის თვითმართველობაში. შემდეგ დეშანელმა, როგორც ეს ტრადიციით მიღებულია, პუანკარე კერძო სასტუმროში მიაცილა.

ოსმალეთის ვალი.

„პტი ჟურნალ" ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა აქვს საფრანგეთისთვის ოსმალეთის ვალის მოწესრიგებას. ოსმალეთს საფრანგეთის მართებს 7 მილიარდი. ოსმალეთის ვალი შეიძლება განხილულ იქნეს ორის თვალსაზრისით: ვალი წინანდელი, ე. ი. 1914 წლამდის აღებული და ვალი შემდეგი, ომის განმავლობაში აღებული. უკანასკნელი ვალი მეტად შემცირებულია გერმანიის ვალთან შედარებით. მას გადაიხდიან სამხედრო მასალით. ეს ვალი ეკისრება ოსმალეთს, ე. ი. ოტომანთა იმპერიის იმ ნაწილს, რომელიც სულთანის ბატონობის ქვეშ იქნება. ის ნაწილები კი, რომლებიც ოსმალეთს მოსცილდება განთავისუფლებულნი იქნებიან იმ ვალისაგან, რომელიც ოსმალეთმა 1914 წლის შემდეგ აიღო. მაგრამ ძველი ვალი კი მათ გადაეცემათ.

სმირნის საკითხი.

სმირნის საკითხს ხუთშაბათს განიხილავენ.

ინგლისური პრესის ცნობები.

გერმანიის ჯარი და დამნაშავეთა გაცემა.

გერმანიის ჯარების მთავარსარდალმა განაცხადა: მთელი ჯარი კატეგორიულად უარს აცხადებს დამნაშავე პირთა გაცემაზეო.

ოდესის ლტოლვილები.

ოდესიდან ლტოლვილებით წამოსული გემი ბოსფორის შესავალთან სდგას. ხმელეთზე გადმოვიდა 150 მგზავრი, 298 ჯერ კიდევ გემის ბაქანზე იმყოფება.

საზავო ხელშეკრულება.

ვაშინგტონიდან იუწყებიან: საზავო ხელშეკრულება ხელახლა სენატშია. რატიფიკაციის იმედი ეხლა უფრო მეტია. ვილსონი თანახმა სენატის შენიშვნები მიიღოს, ოღონდ მათ არის კომპრომისებზე წავიდეს.

[illegible] ცნობები.

ინგლისი და ნავთი.

მოსკოვი. თებერვლის 19. იმპერიალისტური მთავრობების პოლიტიკის სხვადასხვა მანიპულაციების მიზეზი არის ნავთის შოვნა, რადგან წყალქვეშა ცურვის გაძლიერება მიიყვანს ზღვაზე ბრძოლას აეროპლანების და წყალქვეშა ნავების ბრძოლამდე, ერთისაც და მეორესაც მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს ნავთი. ამიტომ ინგლისი მთელ ძალას ხმარობს, რომ ნავთიანი ადგილები ჩაიგდოს ხელში. უახლოესი ინგლისის პოლიტიკა განისაზღვრება ნავთისათვის ბრძოლით, აქამდის ნავთის წარმომადგენლად ითვლებოდა შეერთებული შტატები. 1913 წელში მსოფლიო ნავთის წარმოება შეადგენდა 52,000,000 ტონს, აქედან ამერიკა აწარმოებდა 33 მილიონ ტონს. ამერიკული ნავთის ტრესტი მიისწრაფის, რომ მთელი მსოფლიოს ნავთის წყაროები ხელში ჩაიგდოს. როდესაც ინგლისმა მექსიკაში ნავთის წყაროების თვალსაჩინო კონცესიები მიიღო, ამერიკამ შესძლო ეს საქმე ჩაეშალა. ეხლა მექსიკის ნავთი ამერიკის იმპერიალისტებისათვის ხელში ჩასაგდებ წყაროს წარმოადგენს. ამ გვარათ ინგლისმა ნავთი უნდა ეძებოს სხვა ადგილებში: აღმოსავლეთ გალიციაში, რუმინიაში, ბაქოში და ოსმალეთ-სპარსეთის საზღვარზე. რადიო, ამერიკის მიერ ბორისლავსკის... (გამოტოვებულია)... ყიდვის შესახებ, გადმოგვცემს, რომ აღმოსავლეთ გალიციაში ამერიკის ნავთის ტრესტი ინგლისისას ამარცხებს. მოკავშირეებმა თავი დაუკრეს აზერბაიჯანის წინ და დაიჩქარეს მისი დამოუკიდებლობის აღიარება იმისთვის, რომ უფრო ადვილათ ჩაიგდონ ხელში ბაქოს ნავთი. თუ ახალგაზრდა ოსმალეთი ხელში ჩაიგდებს ოსმალეთ-სპარსეთის საზღვარს, მაშინ ინგლისის კაპიტალისტები აღიარებენ დამოუკიდებლობას... (დამახინჯებულია)... დაიწყოს ოსმალეთის მხეცობა. თითოეულ მოკავშირეს მომავალში მეორე მოკავშირეთა წინააღმდეგ გალაშქრება შეუძლია. თავის თავად ცხადია, რომ თუ მთავრობები სამომავლოდ ემზადებიან ისინი ერთ დროულად აწარმოებენ, ბრძოლას ომის მატერიალურ წყაროების ხელში ჩასაგდებად. ლოზუნგი: „ნავთისთვის, კიდევ ნავთისათვის"—ნიშნავს ბრძოლას ყველას წინააღმდეგ ნავთისათვის.

„პიშჩევიკების" ყრილობა.

მოსკოვი. თებერვლის 19. სრულიად რუსეთის „პიშჩევიკების" ყრილობა შესდგება 15 მარტს მოსკოვში.

სამხედრო ცნობები.

მოსკოვი. 19 თებერვალი. ჩრდილოეთ დვინის რაიონში ჩვენ მტერი გამაგრებული პოზიციიდან გამოვდევნეთ. იმავე დღეს ბრძოლით ავიღეთ სოფელ ცეცკი. არხანგელსკის მიმართულებით ჩვენ ხელში ჩავიგდეთ და წამოვიყვანეთ 50 ტყვე. ჩვენ მხარეზე მტრის პოლკი გადმოვიდა. ონეგის რაიონში ჩვენ ბრძოლით სოფლები ავიღეთ. 7 თებერვლიდან ჩრდილოეთ ფრონტზე 2570 ტყვე წამოვიყვანეთ, ამათში 34 ოფიცერია. ხელში ჩავიგდეთ 19 ზარბაზანი, 200 ტყვიისმფრქვეველი. 3 ჯავშნიანი მატარებელი 2020 თოფი და სხ. ოვრუჩის რაიონში ჩვენმა ჯარმა სოფლები აიღო. ჟიტომირის რაიონში მეწინავეები მოქმედებენ. დნესტრზე სად. რიბნიცასთან ჩვენმა ჯარმა 170 ტყვე წამოიყვანა; ხელში ჩაიგდო 3 ზარბაზანი, 3 ტყვიისმფრქვეველი, 3 ზარბაზანი. დამატებითი ცნობით ტირასპოლთან ჩვენ ხელთ ვიგდეთ 51 ორთქლმავალი 310 ცარიელი ვაგონი, 35 ვაგონი ყუმბარებით, 55 ჯავშნიანი ვაგონი და 47 ზარბაზანი. ოჩაკოვში ხელში ჩავიგდეთ 7 ზარბაზანი. გენიჩესკის რაიონში მეწინავეები მოქმედებენ. ქ. გენიჩესკს მტერი უშენს. როსტოვი და ნოვოჩერკასკის რაიონში ჩვენი ჯარი შეტევით ომს აწარმოებს. ველიკოკნიაჟესკის მიმართულებით ჩვენმა ჯარმა ტორგოვაია და სხვა რამდენიმე სოფელი აიღო. სტავროპოლის აღმოსავლეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით 25—30 ვერსზე ბრძოლაა.

პროფესორი ტიმირიაზევი.

კურსკის რკინის გზის ვაგონის სახელოსნოების მუშებმა მოსკოვის საბჭოში აირჩიეს ცნობილი პროფესორი ტიმირიაზევი.

კომუნისტური უნივერსიტეტი.

ვიტებსკი. 18 თებ. პირველ მარტს ვიტებსკში გაიხსნება კომუნისტური უნივერსიტეტი.

თეთრგვარდიელები.

როსტოვი, თებერვლის 17. ნოვოჩერკასკში და როსტოვში თეთრგვარდიელებმა გამოუშვეს ტყვეები, რომლებიც დუქნებს არბევდნენ. ყველა დამნაშავენი ისევ ციხეში შეჰყარეს.

სპეკულიანტების მობილიზაცია.

ხმელნიკი, თებერვლის 18. მაკურინის ოლქში გლეხებმა გადაწყვიტეს ყველა სპეკულიანტების მობილიზაცია მოახდინონ შრომის სახით.

მოსკოვის „სოვდეპი".

გუშინდელ არჩევნებში 213 კაციდაგან 194 კომუნისტია, 7 თანამგრძნობელი, 10 უპარტიო, 2 მენშევიკი. მოსკოვის ტყვიისმფრქვეველთა კურსებიდან აირჩიეს ტროცკი.

ახალი ამბები

დეპეშა შვეიცარიიდან. 17 თებერვალს მთავრობის თავმჯდომარემ ქ. ბერნიდან შემდეგი დეპეშა მიიღო: „მეტად ბედნიერი ვარ, რომ შემიძლიან აღორძინების გზაზე დამდგარ და თავისუფალ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა მოგილოცოთ. საუკეთესო სურვილები და კეთილდღეობა ჩემს მეორე სამშობლოს. შვეიცარიის წარმომადგენელი მეიერი".

◆ ნავთი საქართველოსათვის. აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის მოხდა სრული შეთანხმება. ამიერიდან თფილისში ყოველ კვირა უნდა მოვიდეს მატარებლის 7 შემადგენლობა თითოეული 55 ცისტერნა ნავთით. ხოლო თუ გამოირკვა, რომ ხსენებული რაოდენობის ნავთი საკმარისი არ არის, დანიშნული უნდა იქნეს მატარებლის მე-8 შემადგენლობა. ნავთის მრეწველთა ბიურომ შეღავათიან ფასებში დაუთმო ნავთი საქართველოს რკინის გზებისათვის და გამოსთქვა მოსაზრება, რომ ის ანგარიშს უწევს იმ გარემოებას, რომ საქ. რკ. გზებზე წესიერი მიმოსვლა ხელსაყრელია აზერბაიჯანისათვის და ამ მხრივ რამოდენიმე მილიონის ზარალი არ შეეფერება საქართველოს გზების ექსპლოატაციის სტაბილიზაციისათვის ნავთის შეღავათიან ფასებში დათმობა.

◆ იტალიის მისიის გამგზავრება ბაქოში. დღეს ბაქოში გაემგზავრა იტალიის სამოქალაქო მისიის მთელი შემადგენლობა, საიდანაც თფილისში დაბრუნდება მარტის პირველ რიცხვებში.

◆ ონის ქალაქის თავი შუამდგომლობს მთავრობისა და ქალაქთა კავშირის წინაშე, რათა დახმარება აღმოუჩინონ ონის მაზრას შიმშილის თავიდან ასაცილებლად. დიდი თოვლის გამო მაზრა მოწყვეტილია მთელ რესპუბლიკას, ადგილობრივად კი სურსათი არ მოიპოვება.

◆ ყაჩაღთა დატუსაღება. დუშეთიდან იტყობინებიან, რომ იქ ამ დღეებში დატუსაღებით ყაჩაღ შელაძის ბრბოიდან დარჩენილი 2 ყაჩაღი. შელაძის ბრბოს სრული ლიკვიდაცია მოხდა.

◆ ზუგდიდიდან შინაგან საქმეთა სამინისტროს ატყობინებენ, რომ დიდი წინააღმდეგობისა და სროლის შემდეგ მოკლულ იქნა ყაჩაღი სილ. სიჭინავა, დაჭრილ იქნა ამ. გუგუნავა. დატუსაღებული არიან პაჭკორია და ფიფია.

◆ მუშათა ცენტრალურ კლუბში. დღეს, 21 თებერვალს გაიმართება დიდი სადღესასწაულო საღამო. მონაწილეობენ ქ-ნი ქიბაროვისა, აგასოვი-კალანდაძე, ლანტრატოვი, ლეონოვა, ბ-ნი ალ. წუწუნავა, გ. ვენიძე, ალ. ჟორჟოლიანი, ა. ცენოვსკი. ქართულ და რუსულ ენებზე დადგმული იქნება მხიარული კომედიები. მოწყობილი იქნება მომგებიანი ლატარია, აუქციონი და დასასრულ გაიმართება ცეკვა. დარბაზში დაუკრავს ტრამვაის ორკესტრი.

◆ სახალხო უნივერსიტეტში. დღეს ლექციებს წაიკითხავენ ცენტრალურ განყოფილებაში: 1) ვ. კოტეტიშვილი—სოციოლოგია, 2) სერ. ჟორჟოლიანი—ქართული მწერლობის ისტორია.

◆ ბელეტრისტი დავით კლდიაშვილის საზეიმო საღამო, რომელიც უნდა გამართულიყო 19 თებერვალს მუშათა კლუბში, სხვადასხვა მიზეზების გამო გადაიდო შემდეგისათვის.

◆ სახელმწიფო თეატრში. დღეს, დილით „ლაკმე". საღამოთი მუშებისათვის „ქეთო და კოტე". კვირას, დილით „ჩერევიჩკი". საღამოთი რეჟისორ ალ. წუწუნავას წარმოდგენა „აბესალომ და ეთერი". ორშაბათს, 23 თებერვალს, „ქეთო და კოტე" და ბალეტი.

◆ თფილისში მოვაჭრე მამადიანებმა თხოვნით მიმართეს შინაგ. საქმეთა სამინისტროს, რათა მათ ნება დართონ კვირის მაგიერ პარასკევი იუქმონ.

კ რ ე ბ ე ბ ი

კვირას, 22 თებერვალს, დილის 10 საათზე, მუსულმანთა აუდიტორიაში (მოედანი) დანიშნულია მეექვსე რაიონულ კოლექტივის საქ. სოც. დემ. მ. პ. წევრთა საერთო კრება. დღის წესრიგი:
1) სარევიზიო კომისიის მოხსენება და
2) კოლექტივის რეორგანიზაცია.

— დღეს, ლექციების შემდეგ სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგება ყველა ფაკულტეტების და დარგების სოციალ-დემოკრატ სტუდენტთა კრება.

შრომის სამინისტროში

ცირკულიარი შრომის სამინისტროს რწმუნებულებს.

თანახმად შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეთანხმებისა, ყოველიგვე წერილები შრომის სამინისტროს რწმუნებულებისა გაიგზავნებიან უმარკოდ, როგორც სახელმწიფო კორესპონდენცია, მხოლოდ უნდა იქნეს კონვერტზე დასმული შრომის სამინისტროს რწმუნებულის ბეჭედი და ამისთვის განსაკუთრებულ წიგნში შეტანილი ფოსტაში წარსადგენად, წინააღმდეგ შემთხვევაში, წერილები უფასოდ არ გაიგზავნება.

საქმეთა მართველი ი. გოლდმანი.

სატარიფო პალატის ცირკულიარი.

ამით ვატყობინებთ მუშებს და სამუშაოს მიმცემ ორგანიზაციებს, რომ სატარიფო პალატამ 16 თებერვლის სხდომაზე განიხილა რა საკითხი იმის შესახებ, რომ ზოგიერთ სამუშაოს მიმცემ ორგანიზაციებს არ შეუტანიათ სახელმწიფოს მოსამსახურეების ფონდში ხვედრი ფული, დაადგინა:

1) იმ დაწესებულებებში და წარმოებებში, რომელთა პატრონებმაც არ შეიტანეს სახელმწიფო მოსამსახურეების ფონდში ათას-ათასი მანეთი თითო წევრზე, დაწესდება გადიდებული ჯამაგირები.

2) ტარიფის დაწესება დაევალა პალატის პრეზიდიუმს, რომელსაც ცნობებს წარუდგენენ მუშათა და მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირები.

სატარიფო პალატის თავმჯდომარე ი. გოლდმანი.

უცხოეთი

რ უ ს ე თ ი.

ბოლშევიზმი და აღმოსავლეთი. გაზეთ „ტაიმსში" მოთავსებულია შემდეგი წერილი: „მე მქონდა შემთხვევა შევხვედროდი ერთ ყაზანელ თათარს, რომელიც მოსკოვიდან იყო გამოქცეული. როგორც მუსულმანს, მას ჰქონდა შემთხვევა შეესწავლა ბოლშევიკურ-მუსულმანური ორგანიზაციები. აი რა გადმომცა მან: „სამხედრო საქმეთა კომისარიატის აღმოსავლეთის განყოფილებასთან დაარსდა „ლიგა ისლამის განთავისუფლებისა". ამ ლიგას საბჭოთა მთავრობამ მისცა სუბსიდიის სახით 5 მილიონი მან. ოქრო. ლიგის მიზანია ხელი შეუწყოს მუსულმანებში იმ აჯანყებებს, რომელიც მიმართულია ევროპიელების წინააღმდეგ. ამ ლიგას შემოუერთდენ შემდეგი ორგანიზაციები: 1) ეგვიპტის ნაციონალისტები, 2) ოსმალეთის ნაციონალისტები, 3) ერთობის და პროგრესის" პარტია, 4) [illegible] ნაციონალისტები, 5) ავღანისტანის [illegible]ტები, 6) კავკასიის მუსულმანთა „[illegible]", 7) რუსეთის მუსულმანთა კონგრესი, 8) სპარსეთის ნაციონალისტები.

ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს მთავარი სადგომი აქვს მოსკოვში, სადაც მეთაურობენ მუსლიმანობაში კარგად ცნობილი ლიდერები აგაევი, ანკუროვი, გაჯიევი, მერჯანბეგოვი. ამ პირთ მჭიდრო კავშირი აქვთ კარახანთან, ჩიჩერინთან, ვოზნესენსკისთან და სხვა ბოლშევიკებთან. ლიგამ დაარსა ორი ქვეკომიტეტი: „აღმოსავლეთის ცენტრალური კომიტეტი", რომელსაც დავალებული აქვს ხელმძღვანელობა გაუწიოს სპარსეთის, ამიერ-კავკასიის, ანატოლიის, თურქესტანის, ავღანისტანის და ინდოეთის ორგანიზაციებს. ამ კომიტეტს ხელმძღვანელობს მუსტაფა ქემალ ფაშა. მეორე კომიტეტი მოქმედობს ეგვიპტეში, ევროპის ოსმალეთში, კომიტეტის სახელწოდებაა „ევროპის ცენტრალური კომიტეტი".

ლიგამ გადასწყვიტა უფასოთ დაარიგოს პერიოდული გამოცემები სპარსულ, არაბულ, ოსმალურ და თათრულ ენებზე. ბოლშევიკები ყურადღებას აქცევენ აგრეთვე ჩინეთს და კორეას. მაგალითად, ბოლშევიკებმა ვოზნესენსკიმ, ჩიჩერინის ხელმოწერით გაუგზავნა ჩინეთის ცნობილ პოლიტიკოს სუნ-იატ-სენს, რომელშიაც ურჩევდა ჩინეთის რევოლუციონერებს ევლოთ ბოლშევიზმის გზით.

ერობათა ცხოვრება

თფილისის მაზრის ერობა.

8 თებერვალს ლ. ასათიანის თავმჯდომარეობით შესდგა თფილისის მაზრის ერობის ხმოსანთა მეექვსე ყრილობა. სხდომები სამ დღეს გაგრძელდა. დღის წესრიგში ბევრი რთული და სერიოზული საკითხი იდგა, მაგალ., ერობისთვის ბინის შეძენა, დიღომ-ავჭალის მინდვრების მორწყვა და სხვა.

ერობისათვის ბინის შეძენის შესახებ კრებამ დაავალა გამგეობას იშუამდგომლოს მთავრობის და ქალაქის თვითმართველობის წინაშე, თანახმად კანონისა, იმ სახლის ჩამორთმევის შესახებ, რომელშიაც მოთავსებულია ერობა. ბინის შესაძენათ და შესაკეთებლათ კრებამ გადასდო 2,000,000 მანეთი.

დიღომ-ავჭალის მინდვრების მორწყვა განზრახულია არაგვიდან წამოყვანილი არხით. მოსარწყავი მინდვრების ნახევარი შეადგენს სახელმწიფო საკუთრებას და ამისთვის, იმედია, მთავრობა დიდ დახმარებას გაუწევს ამ საქმეში ერობას როგორც ფინანსიურს, აგრეთვე მორალურს. ამ საქმით დაინტერესებულია აგრეთვე ქალაქის თვითმართველობა. უკანასკნელი გამოკვლევით არხზე შეეძლება მისცეს 20,000 ცხენის ძალა, რომელიც საგრძნობლათ გადაჰჭრის ელექტრონის კრიზისის საკითხს ქალაქში. მიიღო რა მხედველობაში ამ საქმის როგორც კულტურული, აგრეთვე ეკონომიური მნიშვნელობა, კრებამ აირჩია დიღომ-ავჭალის კომისია, რომელიც უნდა დაეხმაროს გამგეობას ამ საქმის საჩქარო მოწყობაში. ხოლო კომისიის მუშაობაში გამგეობა არ უნდა დაერიდოს არავითარ ხარჯებს.

კრებამ მიიღო აგრეთვე შემდეგი დადგენილებები: დაარსდა სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების დღის აღსანიშნავად 5 სტიპენდია 1500 მანეთი თვითეულ სტიპენდიანტს თვეში. ბელეტრისტი კლდიაშვილს 30 წლის იუბილეს აღსანიშნავად იუბილიარის სასარგებლოდ ნიშნად პატივისცემისა გადაეცა 3000 მანეთი. ერობისათვის ბიბლიოთეკის შესაძენად გადაიდო 100,000 მანეთი. ნიკ. გვანცელაძე.

კულტურული მუშაობა ჯარში და გვარდიაში

წარმოდგენები თფილისის გარნიზონისათვის.

12 და 13 თებერვალს, სახელმწიფო თეატრში სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ სექციის ინიციატივით დაიდგა თფილისის გარნიზონის ნაწილებისთვის „სამშობლო". წარმოდგენას აუარებელი ჯარისკაცი და გვარდიელები დაესწრო. „სამშობლოს" ორჯერ დადგმამ თფილისის გარნიზონის თითქმის ყველა ნაწილებს მისცა საშუალება დასწრებოდა. დაესწრნენ შემდეგი ნაწილები: მე 5 და მე 7 ათასეულები, მესანგრე და ხიდმშენი ათასეულები, საარტილერიო დივიზიონი, სამხ. სამინისტ. უწყებრივი გუნდი, რადიო ტელეგრაფის და საავტომობილო გუნდი, სამხედ. სკოლის ნაცვალთა გუნდი, საკავალერიო და სანაპირო გუნდები და სხვ.

წარმოდგენის წინ შესავალ ახსნა განმარტებას აძლევდა სახელმწიფო თეატრის კომისარი ბ. ალ. წუწუნავა.

ა. გ.

მეცხრე ათასეული.

ხსენებული ათასეული ერთ საუკეთესო ნაწილს წარმოადგენს ჩვენი ლაშ-

ქრისას. მიუხედავად იმისა, რომ ის მოშორებულია ცენტრსა და რკინის გზის ლიანდაგსაც, მაინც შენებულად არის მოწყობილი, რაც უნდა მივაწეროთ როგორც ათასეულის უფროსის, ისე სხვა ოფიცრების დაუღალავ მოშაობას.

ათასეულის ლაზარეთის დადგენით მოეწყო კულტურულ-განმანათლებელი კომიტეტი, რომელიც შეუდგა დაკისრებული საქმის ასრულებას: მოაწყო წერა-კითხვის უცოდინარ ჯარისკაცებისათვის სკოლა, გახსნა ჯარისკაცთა უნივერსიტეტი, გამოიწერა გაზეთები, გახსნა სამკითხველო და სხვა; მაგრამ ბევრი რამ კიდევ გასაკეთებელი დარჩა,— როგორიცაა სცენის მოწყობა და სხვა გასართობები. ამ უკანასკნელის განხორციელება მით უფრო ძნელი შეიქნა, რომ ადგილობრივი მცხოვრებნი ვერ გვაწვევენ დახმარებას, ვერ ვშოულობთ გამოცდილ პირებს დასახმარებლად, ვერ ვშოულობთ წიგნებს. ჩვენი სამკითხველოც წიგნების მხრით ძლიერ ღარიბია. მართალია, წიგნების შესაძენათ გადადებულია სათანადო თანხა, მაგრამ ვინ არ იცის დღევანდელი ფასები, წიგნები ბაზარზედაც ცოტაა. ჩვენ გვინდა მივმართოთ თხოვნით გულ-შემატკივრებს და ვთხოვოთ დახმარება, ვისი რით შეეძლია, რომ უსწავლელი ჯარისკაცები ნასწავლნი და შეგნებული დავუბრუნოთ ოჯახს და საზოგადოებას. ჩვენი მისამართი: ახალ სენაკი, მე-9 ათასეულის უფროსს მარიამაშვილს, ჯარისკაცთა სამკითხველოსათვის.

სანუკვარი მუშა.

რკინის გზაზე

სათადარიგო მოხელეთა ნივთიერი გაჭირვება.

ვინც გაცნობილია რკინის გზის სამსახურთან, მას ეცოდინება, თუ ვინ არიან სათადარიგო მოხელენი რკინის გზაზე.

ამ დარგის მოხელეებს არა აქვთ განსაზღვრული მუდმივი სამსახური რომელიმე სადგურში. სათადარიგო მოხელე ყველგანმყოფია. რკინის გზის რაიონში იგინი იგზავნებიან სხვა და სხვა სადგურებში სხვა და სხვა საგზაო საქმის აღსასრულებლად. მათ უნდა გამოსცვალონ შეძლებულის დროს ის მუდმივი მოსამსახურენი, რომელნიც ავადმყოფობის გამო ან სხვა რაიმე საპატიო მიზეზით იძულებით სამსახურიდან თავისუფლდება, ამიტომ სათადარიგო მოხელეს უხდება მუდმივი მოგზაურობა ერთი სადგურიდან მეორემდე და ცალკე ოჯახიდ ცხოვრება. რადგან საგზაო საქმის აღსრულება იწვევს ზედმეტ არანორმალურ ხარჯებს, ამ ხარჯების დასაფარავად სათადარიგო მოხელე ღებულობს დღიურის სახით თითქმის მანეთს. თუ რას წარმოადგენს დღეს ნედლ პირობებში ეს თითქმის მანეთი და ან რა შეიძლება შეიძინოს მით საგზაო საქმის აღსრულების დროს, ამაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ამ მოხელეთა უმწეო მდგომარეობაზე მრავალჯერ იყო აღძრული საკითხი, რომ მათ დღიური მოემატებოდათ, მაგრამ ხმა მათი დარჩა „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა". დღიური რკინის გზის ბუფეტების მოიჯარადეები თანახმად საიჯარადო ხელშეკრულებისა, აძლევდნენ საერთოდ ყველა რკინის გზის მოსამსახურეებს წყალ-წყალა სადილს უფასოთ რვა მანეთით, პირველ თებერვლიდან კი ამ სადილის ფასი რკინის გზის ბუფეტში ადმინისტრაციამ თვით ასწია თითქმის მანეთამდის უფროთ და ჩვენი დღიური კი ისევ 12 მანეთი დასტოვა ე. ი. თითქმის მანეთი სადილის ფასი ჯდება 30 მანეთი, მაგრამ არც მარტო ერთი სადილით შეიძლება იარსებოს კაცმა დღეში და ეს მით უმეტეს, იმ დროს, როდესაც ის დღე და ღამე მარაგიობს, ფხიზლობს და მეტ ენერგიას ხარჯავს. საიდან და რომელი თანხიდან უნდა დავფაროთ ჩვენ ის დეფიციტი, რომელსაც საგზაო საქმის აღსრულება იწვევს?..

სამართლიანობა მოითხოვს ყურადღება მოგვაქციონ და ჩვენი დღიური გადიდდეს ცხოვრების და მიხედვით.

ზ. ჭ—ძე.

ამხ. აპოსტო მიქაძის ხსოვნას

რამდენი სიყვარულით ამხანაგი იმსხვერპლა სიკვდილმა, რამდენი ამხანაგი მივაბარეთ ცივ სამარეს! მაგრამ ეს არ იკმარა სიკვდილმა და კიდევ მოგვტაცა ერთი საყვარელი ამხანაგი!

ჯერ კიდევ 6 დღით ადრე ქვირის ამხ. აპოსტოს პირისახეზე ტუჩებზე მოსჩანდა თავისი უმცროსი საყვარელი ღიმილი, მერე კი თითონაც იმახვრებოდა.

განსვენებული დაულალავად ემსახურებოდა ჩვენს პარტიულ დროშას 1903 წლიდან და ენერგიით სავსე, არა ერთი დებულება არაფრით შიშით თვითმპყრობელობის დროსაც კი; ის ფხიზელი იყო და მუდამ პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას, ის არა იყო 3 რიგის ინტერესების მოთაყვანე და მეტ დროს პარტიულ შრომას ანდომებდა, მისი საყვარელი შრომა ხალხია და სწორედ აქ განუტევა მან სული.

ვგლოვობთ ამხანაგის უდროოდ დაკარგვას, მაგრამ ამავე დროს რამდენიმეთ გვამშვიდებს მხოლოდ ერთი და ვიტყვით: შენ მოკვდი, მაგრამ შრომა შენი არ მომკვდარა, ის უკვდავია შენს ამხანაგთა შორის და უკანასკნელად ჩამოგძახებთ—საუკუნო იყოს ხსენება შენი ძვირფასო ამხანაგო!

დიდი-ჯიხაიშის ს. დ. ორგ. მონდ.
ი. წიგწივაძე.

ვალოდია ჯორბენაძის ხსოვნას

ორმოცი დღე შესრულდა მას შემდეგ, რაც მიწას მიაბარეს სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა გიმნაზიელი ვალოდია ჯორბენაძე.

ის კიდევ ბავშვი იყო, როდესაც რუსეთის დიდმა რევოლიუციამ იფეთქა, მაგრამ, მიუხედავად მისი ახალგაზრდობისა, ის ჩაება საერთო ფერხულში და მოწინავე წევრად ითვლებოდა ჯუჯუთის ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციისა. წინდახედული, ჭკვიანი, კეთილმოსურნე,—ის ყველას იზიდავდა. ეხლაც თვალწინ მიდგას მისი სახე, როდესაც ის მხიარული, მოცინარი სახით, ქაღალდებით ხელში შემოვიდოდა ოთახში, სადაც იმართებოდა ახალგაზრდა მარქსისტთა კრება და რომელშიაც ის მდივნად იყო არჩეული. მისი ენერგიული მუშაობა დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა არ დაინდო და უდროვოთ გამოსტაცა მის მშობლებს და მის ტოლ-ამხანაგებს.

მშვიდობით ძვირფასო ამხანაგო! შენი სახე და შენი ხსოვნა სამუდამოთ წაუშლელი დარჩება ჩვენ შორის. საუკუნოთ იყოს ხსენება შენი!

ვანო.

მუშათა კლუბისათვის

დიდი სალამო ცენტრალურ მუშათა კლუბის სასარგებლოთ.

შაბათს, 31 თებერვალს, ცენტრალურ მუშათა კლუბის ბინაზე (პლეხანოვის პრ. 123) ამავე კლუბის სასარგებლოთ გაიმართება დიდი სალამო, რომელშიაც ღებულობენ მონაწილეობას თბილისის საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პირნი: ალ. წუწუნავა, ალ. [illegible], ქიხარევა, თავაძე, გ. ინაშვილი, ცენოვა კ. და სხვანი.

დასასრულ იქნება მოწყობილი ფოსტა და ცეკვა (ევროპული და აზიური).

კლუბის კომისია იმედოვნებს, რომ თბილისის მუშები და ფართო საზოგადოება სრული თანაგრძნობით შეხვდება სალამოს საქმეს და თავისი დასწრებით ხელს შეუწყობს კლუბის მატერიალური მხარეების გაძლიერებას, რითაც საშუალებას მისცემს მუშათა კლუბს ერთი ორად გააძლიეროს თავისი კულტურული მუშაობა.

ცენტრალური მუშათა კლუბის კომისია.

ს.-დ. პარტიაში

ხ. ტყვიავი (გორის მაზრა). 25 იანვარს შედგა ტყვიავის სათემო ს. დ. მ. პ. მოწინავე ამხანაგების კრება. დაესწრნენ: მეჯვრისხევის თემის კოლექტივის თავმჯდომარე, ამხ. გ. ოქრუაშვილი, ამავე კოლექტივის მდივანი—ამხ. გ. მთიულიშვილი და ამხ. შ. ბერიაძე.

კრების საგანი იყო: 1) მოხსენება პოლიტიკურ მომენტის შესახებ, 2) წევრთა მიღება პარტიაში; 3) ბინის გამონახვა ორგანიზაციისათვის; 4) განცხადებები.

პოლიტიკურ მომენტის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ქ. მამუკაშვილი, რის შემდეგ ამხ. გ. ოქრუაშვილი მიესალმება მეჯვრისხევის ორგანიზაციის სახელით ახლად დაარსებულ ორგანიზაციას და უსურვებს მას ნაყოფიერ მუშაობას. ამხ. გ მთიულიშვილმა გააცნო კრებას ორგანიზაცია, მისი მნიშვნელობა და ტექნიკური მხარე საქმის წარმოებისა. დანარჩენი საკითხები გადადებულ იქნა მეორე კრებისთვის.

მდივანი კოლექ. გ მთიულიშვილი.

მუშათა შორის

ფოთის პროფესიონალურ კავშირების საბჭოში.

5 თებერვალს შედგა ფოთის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს კრება ამხ. ვანო კომახიძის თავმჯდომარეობით და შალვა ნოზაძის მდივნობით. კრებას დაესწრო დამფუძნებელი კრების და საქართველოს პროფესიონ. კავშირების ცენტრალური საბჭოს წევრი, ამხ. ვას. ნოდია.

ფოთის პროფეს. კავშირების საბჭოსთან არსებულ სასურსათო სექციის სახელით მოხსენებას აკეთებს სექციის თავმჯდომარე, ამხ. ლუკა დადეთიანი. ის ამბობს, რომ ფულები, საწევრო, ძალიან ცუდათ შემოდის; ჯერ ხნობით შესასვლელი საწევრო გადასახადი—200 მანეთი წევრზე—და იანვრის 150 მანეთი—შემოიტანეს მხოლოდ პატარა კავშირებმა *) ხოლო ისეთ დიდ კავშირს, როგორიცაა ნავთსადგურის გადამტვირთველ მუშათა პროფესიონალური კავშირი, ჯერ არაფერი არ შემოუტანია. ყველამ უნდა იცოდეს, ამხანაგებმა, რომ ეს ნაკლი საჩქაროდ გამოსწორებულ იქნას—ეხლა ჩვენს კასაში შემოსულია 107 600 მ.ნ., რაც ერთ ვაგონ სიმინდს თუ იყიდის. შემდეგ მომხსენებელი აღნიშნავს ერთს გარემოებას: აქა-იქ უკვე გაიძახიან, რომ სექცია არაფერს აკეთებს და არც არაფერს გააკეთებსო. ამ უიმედობისა და ეჭვს შავრაზმელები სთესვენ და ავრცელებენ.. ამხანაგებო, თუ ასეთი უნდობლობით განვაგრძეთ ამ საქმისათვის ცქერა, ბევრს, მართლაც, ვერაფერს გავაკეთებთ.

თქვენ მთელის თქვენის ენერგიით უნდა შევებრძოლოთ ამ ბოროტ ხმებს, რომელთაც აქვთ მიზნად ჩვენ მიერ დაწყებულ საქმის ჩაშლა. ასე უცებ გაბედნიერება არც დაგვეპირებია და არც შეიძლება.

მილიციის მოსამსახურეთა პროფეს. კავშირის წარმომადგენელი მოითხოვს, რომ „წესდება" საჩქაროდ იქნეს შემუშავებული და გამოქვეყნებული. მაშინ შესაძლებელი იქნება ამ ბოროტ ხმების წინააღმდეგ უფრო მეტი ბრძოლა და მეტი თანაგრძნობის მოხვეჭა. ჩვენი კავშირი მუდამ თავის დროზე შემოიტანს თავის ხვედრ ფულს.

სოლ. პაიჭაძე და ვას. ნოდია სავსებით ეთანხმებიან და მხარს უჭერენ მილიციის მოსამსახურეთა წარმომადგენლის აზრს წესდების შესახებ და მოუწოდებენ ამხანაგებს, შეებრძოლონ ყოველგვარ ბოროტ ხმებს, რომელთა მიზანი ყველასათვის აშკარა არის.

ნავთსადგურის გადამტვ. მუშათა პროფეს. კავშირის სახელით ამხ. ვანო კომახიძე აცხადებს, რომ ეს კავშირი სულ ახლო მომავალში შემოიტანს სრულებით თავის ხვედრ ფულს (სამ თვისას). ფულის დაგვიანება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ კავშირმა ეხლახან ჩამოიტანა სოხუმიდან სიმინდი, რომელშიაც დაიხარჯა მთელი ფული და რომლის განაწილებაც დამთავრდება სამ ოთხ დღეში.

დანარჩენ კავშირების წარმომადგენლები ჰპირდებიან ენერგიულ ზომების მიღებას, რათა ფულები თავის დროზე იქნან შემოტანილი.

შემდეგ თავმჯდომარე კითხულობს საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების მოსამსახურეთა პროფეს. კავშირის თხოვნას, შესახებ მისი მიღებისა საბჭოს წევრად. კრებამ განიხილა ეს საკითხი და ამხ. კარპე ქლენტის აზრის მოსმენის შემდეგ, რომელშიაც ის შესაძლებლად სცნობს და საჭიროდ ამ კავშირისა და ნავთსადგურის სახელოსნოების მუშ. მოსამს. და მოსამსახურეთა პროფეს. კავშირის გაერთიანებას, დაადგინა: მიენდოს პრეზიდიუმს განხილვა და დამტკიცება წესდებისა და წევრთა სიისა საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების მოსამსახ. პროფ. კავშირების მასა და ნავთსადგურის სახელოსნოების მუშ., მოხელ. და მოსამსახ. პროფეს. კავშირების გაერთიანების, თუ მათი ცალ ცალკე კავშირებად დარჩენის საკითხის გადაჭრაც ნავთსადგურის სახელოსნოების მუშ., მოსამსახ. და მოხელეთა პროფეს. კავშირის წარმომადგენლის თანადასწრებით.*)

ამხ. ვას. ნოდიას მოხსენებით, ჟურნ. „მუშ. ცხოვრება" დიდს გაჭირვებას განიცდის მატერიალურის მხრივ. აქ, როგორც გამოირკვა, კავშირებს ძალიან ზანტად შემოაქვთ ჟურნალის ფული, რის გამოც საბჭო ვერ ახერხებს მისი რედაქციისათვის გადაგზავნას. თუ არ გვინდა, რომ ჟურნალმა შესწყვიტოს თავისი არსებობა, ჩვენ საჩქაროდ უნდა გავაგზავნოთ ეს ფული რედაქციას.

მდივნის შ. ნოზაძის განცხადებით, რედაქციას გაეგზავნა მეორედ 4 800 მანეთი ნასესხები... ფულები, მიუხედავად საბჭოს მიერ ზომების მიღებისა, ნაკლებად შემოდის. კარგად შემოაქვთ და თავის დროზე როგორც საწევრო პროცენტები, აგრეთვე ჟურნალის ფული, მხოლოდ ნავთსადგურის გადამტვირთველ მუშათა პროფ. კავშირს, ხე-ტყის ქარხნების მუშებს და მეთევზეებსა.

კრება ანდობს პრეზიდიუმს ფულის საჩქაროდ აკრეფვას და გაგზავნას რედაქციისათვის.

სენაკის ზეინკალთა პროფეს. კავშირის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ალ. ხოშტარია, რომელიც გაგზავნილი იყო ახალ-სენაკში ამ კავშირის მდგომარეობის გამოსარკვევ. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ კავშირი მცირე—რიცხვოვანია, და ამის გამო არავითარი გავლენა მას არა აქვს, რის გამო კავშირის წევრების მდგომარეობა დაწესებულებების უფროსებთან დამოკიდებულების დროს მეტად ცუდია მათ მოთხოვნილებებს არავინ ყურადღებას არ აქცევს. კავშირი სთხოვს საბჭოს თავის წევრად მიღებას და დაკავშირებას ფოთის რომელიმე მსგავს ან მონათესავე კავშირთან.

ამხ—ბი ვას. ნოდია, კრებაზე ქლენტი, სოლომონ პაიჭაძე და სხვ. შეუძლებლად სცნობენ სენაკის ზეინკლების ფოთის რომელიმე კავშირთან და, მით უმეტეს, ფოთის საბჭოსთან დაკავშირებას და საჭიროდ სთვლიან სენაკში, ყველა იქ არსებულ კავშირების მიერ, სენაკის პროფ. საოლქო ცენტრის „საბჭოს" დაარსებას. როგორც ამხ. ლუკა დადეთიანის სიტყვებიდან გამოირკვა, ეს შესაძლებელიც არის, რადგან იქ რამოდენიმე კავშირი არსებობს, მაგ.: ქალაქის და ერობის მოსამსახურეთა პროფეს. კავშირები, ნოქართა და შავი ზღვის რკინის გზის მოსამსახურეთა პროფ. კავშირები.

საბჭოს გამოაქვს ამის შესახებ რეზოლიუცია: „ეგზავნოს ახალ სენაკში საბჭოს რწმუნებული, რომელიც შეაკავშირებს, ადგილობრივ სოციალისტურ პარტიების დახმარებით, ყველა იქ არსებულ კავშირებს ერთს პროფეს. ცენტრში („საბჭოში"), ხოლო რწმუნებულის დასახელება და დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდოს პრეზიდიუმს".

თავმჯდომარე აცხადებს, რომ ამხ. მდივანი უცხოეთში გამგზავრების გამო სტოვებს ადგილს. ახალი მდივნის გამონახვა და მოწვევა ეძლევა პრეზიდიუმს.

ხე-ტყის ქარხნების მუშათა პროფეს. კავშირის წარმომადგენელი, ამხ. იაკინთე მექვაბიშვილი ამბობს, რომ 60 პროც.-ის მომატების ამბავმა მეტად აღელვა მუშები. როგორ სდგას ამ მომატების საკითხი—მუშებმა ჯერაც არ იციან და ეშინიათ, რომ თბილისში ეს მომატება უკვე განხორციელებულია, ხოლო მათ ოფიციალურ ცნობაც კი არ მიუღიათ. „ბაზვინები" უკვე დათანხმდნენ 60 პროც.-ის მომატებაზე, მაგრამ მუშები ვარდებიან უხერხულ მდგომარეობაში, სატარიფო პალატის დადგენილებებსაც არ ჰპყრობთ მომატების მიღება, ხოლო პალატიდან, მიუხედავად საბჭოს შეკითხვისა, არავითარი ცნობა არ არის. აუცილებლად საჭიროა გაგზავნილ იქნას საბჭოს წარმომადგენლები მოხსენების გასაკეთებლად, თორემ მუშები ბოლოს და ბოლოს უნდობლობის თვალით შემოგვხედავენ... საბჭო ღებულობს ამხ მექვაბიშვილის განცხადებას ყურადღებით და ანდობს პრეზიდიუმს საბჭოს წარმომადგენლის გაგზავნას ხე-ტყის ქარხნების მუშებთან.

თავმჯდომარე ვანო კომახიძე სთხოვს განთავისუფლებას თავმჯდომარეობიდან, უდროობის გამო. აგრეთვე ამავე მიზეზით უარს ამბობს პრეზიდიუმის წევრობაზე ამხ. მელიტონ მგელობლიშვილი. ფ. კომახიძის და მ. მგელობლიშვილის თხოვნა საბჭომ შეიწყნარა და აირჩია თავმჯდომარედ: სოლომონ პაიჭაძე, თავმჯდომარის ამხანაგად: ტიტე ქლენტი და ვანო კომახიძე. №.

---

*) საბჭოსთან დაარსდა სასურსათო სექცია, რომელსაც მიენდო მუშა მოსამსახურეებისათვის კოოპერატივის დაარსება და მოწყობა („მუშა-მოსამსახურეთა კოოპერატივი"). საბჭოს და ყველა კავშირების დელეგატთა საგანგებო კრებამ გამოიტანა დადგენილება, რომლის ძალით კავშირის თვითოეულ წევრმა უნდა შემოიტანოს სასურსათო ფონდის შესაქმნელათ 1 500 მანეთი. რადგან ასეთი თანხის ერთდროულად გადება მუშა-მოსამსახურეებს გაუჭირდებათ, კოოპერატივის წევრს შემოაქვს პირველ თვეს (დეკემბერს) 200 მანეთი და შემდეგ კი ყოველ თვე 150 მანეთი, სანამ არ შესრულდება 1.500 მანეთი. ახალ კოოპერატივს შეუერთდება კოოპერატივი „ეკონომია", რომელიც მუშა-მოსამსახურეების ხარჯებზე აშენებული და ხალხიც ისინი შეადგენენ 95% წევრებისას.—მთელს ქალაქში იმყოფება დაახლოვებით 2000 მუშა და მოსამსახურე; მაშასადამე, აღნიშნულ ფონდში უნდა შემოვიდეს დაახლოვებით 3.000 000 მანეთი.

*) მეორე დღის პრეზიდიუმმა, სოლომონ პაიჭაძის თავმჯდომარეობით, განიხილა საქ. სატრ. საზ. მოსამსახ. პროფეს. კავშირის თხოვნა, წესდება და სია. წესდების მცირედი შესწორების შემდეგ, კავშირი მიღებულ იქმნა საბჭოს წევრად.

პროვინციაში

ხოფ. ფარავი (რაჭ.). ამ მოკლე ხანში მთელს რაჭაში, უნდა შესდგეს წვრილი ერთეულების არჩევნები. ვინაიდან თემის მოწყობისთვის და მუშაობის სათანადო დონეზე დასაყენებლად საჭირო, როგორც კულტურული ძალები და აგრეთვე ფინანსები, ამიტომ რაჭის სამაზრო ერობამ განიძრახა მთელ მაზრაში, ნაცვლად არსებული 26 და 27 საზოგადოებისა, შეიქმნას და დაარსოს 15 ერთეულამდე. ახლად შედგარ თემებში უნდა შევიდნენ ზოგან ორი და ზოგან მეტი საზოგადოება, სადაც ეს მოსახერხებელი ხდება. რაჭის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, სასურველი იყო თემები დაარსებულიყო ძველ საზოგადოების ფარგლებში, რადგანაც დღეს უხდებათ შეერთება ახლად შემდგარ თემებში ერთმანეთზე მეტად დაშორებულ საზოგადოებებს. მაგრამ არსებული პირობების მიხედვით სხვანაირად შეუძლებელი იყო დღის-დღეობით: სოფლად დიდი კრიზისია კულტურული ძალებისა. ამ ზემოაღნიშნულ გარემოების მიხედვით, ხათუმ თვითმართველობაზე დაშორებული სოფლები უნდა შეერთებოდნენ ბიდს, მაგრამ ეს ასე არ ხდება—მაგალითად აბარის საზოგადოება უნდა შევიდეს წესის თემში—ამ აბარის საზოგადოებაში ითვლება დღეს სოფელი ფარავიც, რომელიც წესზე ძალიან დაშორებულია და გზებიც არ უვარგა წესისკენ. ფარავლებში დიდი უკმაყოფილებაა ამის გამო და აბარის საზოგადოების კრებაზე 1910 წ. 10 იანვარს, რომელზედაც დაესწრნენ სოფლები: ფარავი, ლიხეთი, და აბარი—ფარავმა გამოიტანა დადგენილება, რომ ისინი არ არიან თანახმა წესის თემში შესვლაზე (წინა სულ 1919 წ. ზაფხულში კი დადგენილება ჰქონდა გამოტანილი წესის თემში შესვლაზე და მოითხოვენ მიეცეთ უფლება ცალკე ფარავში, თემის დაარსებისა—ეს დადგენილება გაეგზავნა სამაზრო ერობას. ვნახოთ რა იქნება? მაგრამ მე მგონია სამაზრო ერობა შეცდომაში არ შევა და ამის უფლებას არ მისცემს ფარავს და სამართლიანიც იქნება—და აი რატომ—ჯერ ერთი სოფელი ფარავი ძალიან პატარაა—160 კომლი და მეორე, უმთავრესი, ის რომ ამ სოფელში სრულიად არ მოიპოვება ისეთი ხალხი, რომ თემის საქმეებს გაუძღვეს და ხარჯებსაც რასაკვირველია, ფარავში თემი ვერ იხეირებს და სულ ერთია, რომ დაარსდეს მალე სულს განუტევებს. უფრო სამართლიანი იქნება და ჭკუისთან ახლოა, თუ აბარის საზოგადოებაში მოეწყობა თემი—მაგრამ აქაც კულტურული ძალები არ მოიპოვება—და ეს თუ იქნა დაძლეული დაბრკოლება სხვა მხრით არაფერი უშავს. ჩემი გულწრფელი რჩევაა ფარავლებისთვის, რომ ისინი ნუ აყვებიან უპასუხისმგებლო პირებს და ისევ ან წესში დასთანხმდნენ და ან აბარის თემის დაარსება მოითხოვონ, თუ თანახმა იქნენ დანარჩენი სოფლები—სხვა გამოსავალი არ არის.

ვალიკო დონაძე.

გორი. თებერვლის 8 გორის სამაზრო ერობის გამგეობის ინიციატივით მოწვეულ იქნენ წარმომადგენლები ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა, სადაც გარდა ე. კლდიაშვილის იუბილეში მონაწილეობის მიღების საკითხისა, კრებაზე დაიბადა აზრი, თუ რა საშუალებებით უშველონ კულტურულათ ჩამორჩენილ კუთხეს, როგორიც არის ქართლი.

კრებას სხვათა შორის დაესწრო ქართ თაისის სახალხო უნივერსიტეტის ცნობილი ლექტორი ალექსანდრე გარსევანიშვილი, რომელმაც აღნიშნა აუცილებელი საჭიროება სახალხო უნივერსიტეტისა, რომელიც ერთად-ერთი დაწესებულებაა, სადაც ყველა სასიცოცხლო ძალები მიუხედავად პარტიულობისა და სხვადასხვა მსოფლმხედველობისა, მოიყრიან თავს. კრებამ ამ მიზნის განსახორციელებლად აირჩია სათანადო კომისია, რომელმაც 14 თებერვალს, საღამოს ადგილობრივ ვაჟთა გიმნაზიის დარბაზში მოაწყო უფასოთ საჯარო ლექცია: „სახალხო უნივერსიტეტი და მისი მნიშვნელობა", რომელიც წაიკითხა საგანგებოთ ჩამოსულმა ალ. გარსევანიშვილმა. ლექციას დაესწრო აუარებელი ხალხი და განსაკუთრებით დარბაზში მეშჩების ტევა არ იყო, მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ამინდი იყო და საღამოსთვის ქალაქი ჩაბნელებული იყო. ალ. გარსევანიშვილის დასაბუთებულმა ლექციამ მსმენელნი დააკმაყოფილა და ლექტორიც ხანგრძლივი ტაშით დაჯილდოვდა. ლექციის დასასრულს სამაზრო ერობის თავმჯდომარემ მ. აბაშიძემ მოუწოდა დამსწრეთ, ჩაწერილიყვნენ სახალხო უნივერსიტეტში წევრებათ და ამით ერთხელ და სამუდამოთ ჩაეყარათ საძირკველი ამ ფრიად სიმპატიური და სასარგებლო საქმისათვის და დამსწრენიც ერთი მეორეს ეცილებოდნენ ჩაწერაში. იქვე ჩაეწერა ორასამდე წევრი და ასე ჩაეყარა საძირკველი ამ ფრიად საჭირო დაწესებულებას ქ. გორში. ახლო მომავალში დანიშნული იქნება სახალხო უნივერსიტეტის წევრთა დამფუძნებელი კრება და იმედია მრავალნი ჩაეწერებიან და კარგს ნიადაგზე დააყენებენ ამ ფრიად სიმპატიურ დაწესებულებას.

ი. ქუტირელი.

წერ. რედაქციის მიმართ

ნება მიბოძეთ თქვენი გაზეთის ფურცლებიდგან გულითადი მადლობა გადავუხადოთ იმ პირთ, რომელთაც გამოუწერეს ქუთაისის [illegible] სახელობის სამკითხველოს შემდეგი გაზეთები: „საქართველო" და „[illegible]". გ. მეძმარიაშვილმა ერთი წლით, ი. ახათიანმა „სახალხო საქმე" ერთი წლით, შ. შაგულიძემ „ერთობა" ერთი წლით, ი. ჩაჩიშვილმა „შრომა" ერთი წლით, ი. კარანაძემ „სოციალ დემოკრატი" ერთი წლით, „თეატრი და ცხოვრება" ლ. ძოძუაშვილისამ, ერთი წლით, მ. კვერნაძემ „ზორბა" სამი თვით, ქ. მეძმარიაშვილმა „ცისარტყელა" ერთი წლით, აგრეთვე აქვე შესდგა დედათ წრე, რომელმაც გამოუწერა საბავშვო ჟურნალები „ნაკადული" და „ჯეჯილი". სამკითხველოს გამგეობა უღრმეს მადლობას სწირავს ზემო აღნიშნულ პირთ ასეთ ქველმოქმედ ნაბიჯისთვის.

სამკითხველოს გამგეობის თავმჯდომარე ფ. შაგულიძე.

განსვენებულ სილოვან ციცქიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად მამა მისმა ზაქარია ციცქიშვილმა შემოსწირა ოთხასი მან. (400 მ.) ზვარის ახლად დაარსებულ სკოლას.

სკოლის გამგე ქსენია ციცქიშვილი.

ცნობები

სოფ. ტბეთის (რაჭ. მაზ.), მცხოვრები კონსტანტინე ლაზარის ძე გეწაძე წაიყვანეს 1916 წ., ქუთაისში სამხედრო სამსახურის შესასრულებლად. მას აქეთ აღარ დაბრუნებულა. ვინც იცის რაიმე მის შესახებ, გთხოვთ აცნობოთ სადგ. შორაპანში მოვაჭრე სამსონ (სოსო) ფოფხაძეს.

განცხადებანი

ექიმი დ. ა. ხარაძე.
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, ავჭალის [illegible] ახლო.

ექიმი
პ. ზ. ვართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და 914" შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ 5—7 საათ. სურამის ქ № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

ექიმი ა. ლევენშტეინი
შინაგანი და ქალთა სნეულებანი. ექიმობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ ნაწლევების; ჰპეების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კრილოვის ქ. № 5, ბინა 3. (471)

ექიმი
გ. ი. მირიანაშვილი
შინაგანი სნეულებანი, მიღება საღ. 5—7 საათამდე, გარდა კვირისა. ანდრონიკოვის ქუჩა, № 74. ბინა № 1. ვაგზლის მოედნის ახლო. (249)

ექიმი დ. მ. ჯაჯანიძე.
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებებით ავადმყოფებს დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (სათავადაზნაურო ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

დაბრუნდა
ექიმი აბაშიძე
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სენით: ფილტვების, გულის, კუჭის და ნაწლევის, შლეის ექიმობა „ტუბერკულინით" და „ფოსფოლიდით", ვენერიული: სიფილისი და მისი შედეგები—„914" და „606" შეშხაპუნებით. ქ. ხიმშიაშვილის სახლში. (კუპ. 60)

კერძო სამკურნალო
მ. დონხინისა
(მუდმივი საწოლებით) მიხ. ქ. № 141
ტელეფ. 5—97
(სამხედრო სასწავლებლის წინ კინო-ტეატრ „აპოლოს" გვერდით) ყოველგვარი სნეულებიანი ავადმყოფების მიღება სრული პანსიონი. ცალკე ოთახები (თ. 218)

თვალის ექიმი
ს. ბ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს დილით 1—3 საათამდე. [illegible] ქუჩა № 11. წინაკალის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (თ. 3322)

ექიმი ნ. ბ. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და შარდის სნეულებები (შეშხაპუნება „606" და „914"), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] ქუჩა № 53.

[illegible] № 1